ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## პოლიციამ მოშიმშილე ვეტერანები დაარბია



გვ.2

აქციაზე კორკოტა დააკავეს

სამშაბათი, 4 იანვარი, 2011

№2 (5387)

ფასი: 30 თეთრი

# ხელისუფლება პენსიებს ველარ დაარიგებს



გვ.3

### ვინ შემოუსია საქართველოს ვირთხები



## ბათუმი შავი ფულის გათეთრების ადგილი გახდა

გვ.5

ევროპაში ძალიან ბევრ ქვეყანას გადაწყვეტილი აქვს აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარება

## ლუკაშენკომ პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი პატიმრობიდან გაათავისუფლა

გვ.2



გვ.6

## საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა დამარცხებისთვის არის განწირული

სახალხო კრება გასული წლით კმაყოფილია



## ხელისუფლება ოპოზიციაზე შაყირობს

გვ.4



## ოპოზიცია ერთიანი არ არის!

გვ.6

პარტიები ერთმანეთს სახელს არ უნდა უტეხდნენ

## შაშკინმა 13 წლის მოზარდი დაასაჩუქრა



გვ.2



## ხელისუფლებამ წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო

გვ.7

რისთვის ემზადება უგულავა

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

ISSN 1987-9385

**6** ბავშვის გაუფრთხილებლობით მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს

**2** ბორის ნემცოვს მოსკოვის საოლქო სასამართლომ 15-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა

**9** *ლადო ვარძელაშვილი:* „2011 წელი სიახლეების წელი იქნება“

**8** დავით მაღრაძე ნობელის პრემიაზე წარადგინეს

# პოლიციამ მოშიმშილე ვეტერანები დაარბია

## აქციაზე კორკოტა დააკავეს

დაკავებულია 9 ვეტერანი. საპატრულო და კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლებმა გუშინ, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან, ვეტერანთა შიმშილობის აქცია ძალის გამოყენებით დაშალეს. აქციის დაშლას



შეხლა-შემოხლა მოჰყვა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა ნაწილმა, მათ შორის 1992-1993 წლებისა და 2008 წლის საომარი მოქმედებების მონაწილეებმა, გმირთა მოედანზე პერმანენტული საპროტესტო აქციები 27 დეკემბერს დაიწყეს. ისინი ხელისუფლებას ომის ვეტერანთა მიმართ უყურადღებობაში ადანაშაულებდნენ და მოითხოვდნენ, რომ ის ადამიანები, რომლებმაც სამშობლოს წინაშე ვალი პირნათლად მოიხადეს, სათანადოდ დაფასდნენ. ვეტერანები შიმშილობის შეწყვეტას 6 იანვრისთვის გეგმავდნენ.

გუშინ, საღამოს გმირთა მოედანზე, აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალურ დაფასთან, გიორგი კორკოტაშვილი (კორკოტა) და მისი თანმხლები პირებიც დააკავეს.

ისინი მიდიოდნენ აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალურ დაფასთან, სადაც მოშიმშილე ვეტერანები პოლიციის თანამშრომლებმა ძალის გამოყენებით დაშალეს. აქციის დაშლისას, პოლიციის თანამშრომლებმა რამდენიმე ვეტერანიც დააკავეს. მათი ნაწილი ნარკოლოგიურში, ნაწილი კი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს.

— ხალხს, რომელთა მიმართაც მადლიერება უნდა გაგვაჩნდეს, ხელისუფლებამ ლუკმა-პური გამოაცალა, სასიკვდილოდ გაწირა, აიძულა შიმშილობა დაეწყო და ნაცვლად იმისა, რომ ბოდიში მოეხადა, დახმარებოდა, ზურგში ლახვარი ჩასცა, — ნათქვამია „თეთრების" განცხადებაში.

„თეთრები" მიიჩნევენ, რომ ეს ბარბაროსობა ქვეყანაში არ დასრულდება, სანამ საქართველო „ნაციონალური ჭირისგან და ოკუპაციისგან" არ გათავისუფლდება.

— ჩვენ მართლა დავკარგეთ ღირსება, ვითმენთ ყველაფერს; ვითმენთ სააკაშვილს — სისხლიან პრეზიდენტს, რომელიც თავის ქმედებებით სისხლს უშრობს ხალხს, შიმშილით განწირული ადამიანების გვამებზე დათარეშობს, — აღნიშნულია განცხადებაში.

სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც პოლიციელებმა აქციის მონაწილეების ერთ-ერთ ახლობელ ქალბატონს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ეს ვეტერანებმა გააპროტესტეს, რასაც მათი დაკავება მოჰყვა.

აქციაზე ყარყარაშვილთან ერთად ვეტერანების აქციაზე მივიდა ასევე ზურაბ აბაშიძე, ირაკლი ბათიაშვილი, სახალხო კრებისა და ნინო ბურჯანაძის პარტიის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები. ისინი პოლიციელების ქმედებას აპროტესტებდნენ და ვეტერანებს მხარდაჭერას უცხადებდნენ.

ვეტერანების განცხადებით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაიარა გმირთა მოდანზე ვაკის მიმართულებით და სწორედ სააკაშვილის ჩავლიდან 1 საათში იქ პოლიცია მივიდა და მათ დაშლას შეეცადა.

*მომზადებულია ინტერპრესნიუსის ინფორმაციებზე დაყრდნობით*

# ლუკაშენკომ პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი პატიმრობიდან გაათავისუფლა



ბელორუსის პრეზიდენტობის ექს-კანდიდატი ვიტალი რიმაშევსკი ციხიდან გამოუშვეს. როგორც რუსული მედია რიმაშევსკის პარტიის ოფიციალურ ვებგვერდზე დაყრდნობით იუწყება, რიმაშევსკიმ ქვეყნის პრეზიდენტ ლუკაშენკოს წერილობით მიმართა და შინიდან გაუსვლელობის შესახებ ხელწერილი დადო, რის შედეგადაც იგი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

როგორც ცნობილია, რიმაშევსკი 19 დეკემბერს, მინსკის მოედანზე დააკავეს, მას და კიდევ პრეზიდენტობის სამ ყოფილ კანდიდატს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ედებათ ბრალად, რაც 15-წლიან პატიმრობას ითვალისწინებს.

**მედიანიუსი**

# დიმიტრი მედვედევის ისრაელში ვიზიტი ჩაიშალა



ისრაელში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის ვიზიტი, რომელიც 17 იანვრისთვის იყო დაგეგმილი, ჩაიშალა. ამის შესახებ გაზეთი „გაარეცი" იუწყება. გამოცემის ინფორმაციით, ამის მიზეზი ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გაფიცვა გახდა, რომელთა გარეშეც ამგვარი დონის ვიზიტის ორგანიზება ტექნიკურად შეუძლებელია. შედეგად, მედვედევის ვიზიტი დაგეგმილ დროს აღარ შედგება.

დიპლომატები არადამაკმაყოფილებელ სამუშაო პირობებს სხვადასხვა სახით ადრეც აპროტესტებდნენ, მაგრამ ამჯერად მათ სრულმასშტაბიანი გაფიცვა მოაწყვეს და ხელფასის მომატება და სამუშაო პირობების გაუმჯობესება მოითხოვეს.

ისრაელში მედვედევის ხელმძღვანელობით რუსეთის 500 კაციანი დელეგაცია უნდა ჩასულიყო, მათ შორის მინისტრები, მსხვილი მეწარმეები და სხვა მაღალჩინოსანი პირები.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მომხდარზე რეაგირება ჯერ არ მოუხდენია.

**ინტერპრესნიუსი**

# შაშკინმა 13 წლის მოზარდი დაასაჩუქრა



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა 13 წლის გიორგი მალაზონიას ახალი წელი პირადად მიულოცა და საჩუქრად პერსონალური კომპიუტერი გადასცა. მოზარდი დედობილთან მარიამ ზაალიშვილთან ერთად, უკიდურესად მძიმე პირობებში ცხოვრობს.

ცერემბლრალური დამბლით დაავადებული გიორგი, რომელსაც გადაადგილება უჭირს თბილისის 30-ე საჯარო სკოლის მერვე კლასში სწავლობს. მიუხედავად მძიმე ფიზიკური და სოციალური მდგომარეობისა, გიორგი მალაზონია გამორჩეულად წარმატებული მოსწავლეა, გატაცებულია ჭადრაკით და არის მრავალი პრიზის მფლობელი, — აცნობეს „მედიანიუსს" განათლების სამინისტროდან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისათვის გიორგი მალაზონიას შესახებ ცნობილი ტელეკომპანია „იმედი"ს მიერ მომზადებული სიუჟეტიდან გახდა. სამინისტრო დაინტერესდება გიორგის სწავლასთან დაკავშირებული პრობლემებით და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დახმარებას აღმოუჩენს.

**მედიანიუსი**

# ბორის ნემცოვს მოსკოვის საოლქო სასამართლომ 15-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა



რუს ოპოზიციონერ ბორის ნემცოვს მოსკოვის საოლქო სასამართლომ 15-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა. ნემცოვს 31 დეკემბერს მოსკოვის ტრიუმფალურ მოედანზე პოლიციისთვის დაუმრჩილებლობა ედება ბრალად. რადიო „ეხო მოსკვისთან" საუბარში ნემცოვმა სასამართლოს მიერ მის წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენს „საზოგადოებრივი აზრის დაცინვა" უწოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ახალ წელს პოლიციის საკანში შეხვდა. როგორც ცნობილია, 31 დეკემბერს მოსკოვის ცენტრალურ მოედანზე ორი ოპოზიციური მიტინგი გაიმართა. ნემცოვთან ერთად ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე კიდევ ორი ოპოზიციონერი ედუარდ ლიმონოვი და ილია იაშინი დააკავეს.

**მედიანიუსი**

# რუსეთში ათასობით ადამიანი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი

რუსეთის ტვერის ოლქში უამინდობის გამო ელექტროენერგიის გარეშე ხუთი ათასზე მეტი ადამიანი დარჩა. ამის შესახებ რუსეთის საგანგების სიტუაციების დეპარტამანეტზე დაყრდნობით „რია ნოვოსტი" იუწყება.

არსებული ინფორმაციით, ტვერის ოლქში ენერგოკრიზისი ბელსკის, ჟარკოვსკის და ტროპეცკის რაიონებში მდებარე ქვესადგურებზე მომხდარმა ავარიამ გამოიწვია.

როგორც ცნობილია დიდთოვლობის და ძლიერი ქარის გამო გუშინ პრობლემები მოსკოვის ოლქის ელექტრომომარაგებაშიც შეექმნა ძლიერი ნალექის გამო მოსკოვის ოლქის 90-ზე მეტი დასახლებული პუნქტი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.

**მედიანიუსი**

# პირველი იანვრიდან ეუთოსა და ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნები შეიცვალა

2011 წლის 1 იანვრიდან შეიცვალნენ ეუთოს და ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნები. მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა უნგრეთი გახდა, ხოლო ეუთოს 2012 წლამდე ლიტვა უხელმძღვანელებს. როგორც ცნობილია, უნგრეთს თავმჯდომარეობა ბელგიისგან, ხოლო ლიტვას ყაზახეთისგან გადაეცა.

ცნობისთვის: 2012 წელს ეუთოს თავმჯდომარე ქვეყანა ირლანდია გახდება, ხოლო 2013 წელს უკრაინა.

**მედიანიუსი**

# 35 წლის მამაკაცს დენმა დაარტყა და გარდაიცვალა

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში მცხოვრებ 35 წლის ნასყიდა ჟიჟიაშვილს დენმა დაარტყა და გარდაიცვალა. შემთხვევა თბილისში მოხდა, — აცნობეს „მედიანიუსს" რადიო „ჰერეთიდან".

უბედური შემთხვევა სააბაზანოში მოხდა. წყლის ელექტრო გამაცხელებელმა წყალზე დენი გადაიტანა და მამაკაცი ადგილზე დაიღუპა.

მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

**მედიანიუსი**

# სურსათის უვნებლობის სამსახური სურსათის ეროვნულ სააგენტოდ გარდაიქმნა

პარლამენტის მიერ დამტკიცებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, დღეიდან სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს სურსათის ეროვნული სააგენტო ეწოდება.

სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის ვერიკო გულუას განცხადებით, სააგენტო ახალ ფუნქციებს იძენს და დღეიდან რიგი სერვისებით მომსახურება ფასიანი ხდება.

თუ ადრე იმპორტიორს ნებართვის მისაღებად რამდენიმე დღე სჭირდებოდა, აღნიშნული ნებართვის მიღება 1 დღეში მოხერხდება და ის ფასიანი იქნება. თუ იმპორტიორი არ მოისურვებს თანხის გადახდას, ნებართვის მისაღებად რამდენიმე დღე დასჭირდება.

2011 წლის 3 იანვრიდან სურსათის ეროვნული სააგენტო საწარმოებში, სარეალიზაციო ობიექტებში პროდუქციისა და ნედლეულის ყველანაირი კონტროლის განხორციელებას შეძლებს.

**მედიანიუსი**

# საქართველო გადასახადების გადახდის სიმარტივით 61-ე ადგილზეა

საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით, საქართველომ გადასახადების გადახდის სიმარტივით მდგომარეობა 3 პოზიციით გაიუმჯობესა და 183 ქვეყანას შორის 61-ე ადგილი დაიკავა. 2010 წელს ის 64-ე ადგილზე იმყოფებოდა.

საქართველო შეყვანილია იმ 10 სახელმწიფოს სიაში, სადაც გადასახადების მთლიანი მაჩვენებელი ყველაზე დაბალია. აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში მან მე-2 ადგილი დაიკავა. კვლევისას შესწავლილია ისეთი გადასახადები, როგორიცაა მოგების ან კორპორატიულ-საშემოსავლო გადასახადი, სოციალური შენატანი და დამქირავებლის მიერ გადახდილი დაქირავების გადასახადები, საკუთრების გადასახადი, საკუთრების ტრანსფერის გადასახადი, დივიდენდები, მოგების გადასახადი, ფინანსური ტრანზაქციების გადასახადი, გზათსარგებლობის გადასახადი და სხვა.

ცნობისათვის: 2011 წლის რეიტინგით, გადასახადების გადახდის სიმარტივით პირველი ადგილი მალდივებს, ბოლო კი ბელორუსს უკავია.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

გულიკო ბალა ე

# ხელისუფლება პენსიებს ვეღარ დაარიგებს

## ვინ შემოუსია საქართველოს ვირთხები

**გარემოს დაცვის მინისტრს 12 თვის განმავლობაში 83 ათას 456 ათასი აქვს აღებული. არ გაინტერესებთ, პრემია რამდენი აქვს აღებული? — §5 ათასი. ჯამში, გარემოს დაცვის მინისტრის შემოსავალი წლის განმავლობაში 167 ათას ლარს შეადგენს. თვეში 14 ათასი გამოდის.**

**ინტერვიუ მწვანეთა პარტიის ლიდერ გიორგი გაჩეჩილაძესთან**

*— ბატონო გიორგი, შობა-ახალ წელს გილოცავთ. 2010 წელი ისტორიას ჩაბარდა. რა მოგვიტანა 2010 წელმა? რა იყო დადებითი და უარყოფითი?*

— დადებითის რა მოგახსენოთ, მე მგონი, ძალიან ცუდი წელი იყო ყველა მიმართულებით — როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ისე — ადამიანის უფლება დაცვის მხრივ და უსამართლობის საშინელი განცდით. ამას უსაფუძვლოდ არ ვამბობ. მწვანეთა პარტია ყოველთვის აღნიშნავდა, რომ საქართველომ დაკარგა ეკონომიკური დამოუკიდებლობა. გასულ წელს გამოჩნდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის ნიშნები. 2010 წელს ფაქტობრივად დადასტურდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მთელი ეკონომიკა რუსეთს ჩააბარა. სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებმა დაიწყეს გამოქვეყნება იმ სტრატეგიული ობიექტების ნუსხისა, რომელიც სააკაშვილმა ვარდების რევოლუციის შემდეგ გადასცა ჩვენს მოსისხლე მტერს, რუსეთს, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს. საქართველოს მწვანეთა პარტია 2005 წლიდან აცხადებდა, რომ ეს ხელისუფლება ფარულად რუსეთის ინტერესების გამტარებელია. 2010 წელს ეს აშკარად გამოჩნდა. მარტო ის რად ღირს, ქვეყანამ ეკონომიკური დამოუკიდებლობა დაკარგა. ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის ეკონომიკისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობისთვის, ქვეყანაში ენერგეტიკული დამოუკიდებლობა, ფაქტობრივად, მოკვდა. ენერგეტიკული პოტენციალი მთლიანად რუსების ხელში გადავიდა. ყველა ჰიდროსადგური, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში, რუსებისაა.ჩვენ ვამაყობდით ჩვენი წყლის ენერგეტიკული რესურსებით, ვაცხადებდით, რომ ერთ-ერთი მოწინავე ვართ მთელ მსოფლიოში. ამ დროს აღმოჩნდა, რომ ყველაფერი რუსების ხელშია. ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამომუშავების თითქმის 95-96% რუსული ფირმებისა და კომპანიების ხელშია.

*— ეს ერთგვარი ხარკია თუ ხელისუფლებამ შეგნებულად მიიღო ეს გადაწყვეტილება?*

— ხელისუფლება ამგვარ ნაბიჯებს შეგნებულად დგამს. მიუხედავად ერთმანეთის გაუთავებელი ლანძღვა-გინებისა, რუსეთი თავის ინტერესებს საქართველოში ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებს. მოგეხსენებათ, ენერგეტიკა ვის ხელშიც არის, ის მართავს ეკონომიკას. ენერგეტიკის გარეშე ვერც ერთი სამრეწველო ობიექტი ვერ იარსებებს და მოსახლეობასაც კი გაუჭირდება არსებობა. აღმოჩნდა ისიც, რომ ყველაზე მსხვილი სამრეწველო ობიექტებიც რუსეთის ხელშია. სრულიად არაადეკვატური იყო სააკაშვილის განცხადება 2010 წლის შეჯამების დროს, როცა მან თქვა, ჩვენ ენერგეტიკული დამოუკიდებლობა მოვიპოვეთო. ახლა ვერავის მოატყუებს, მაგრამ ფაქტია, რომ რეალობა, სამწუხაროდ, ასეთია. ისეთი სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული, რუსეთის ხელშია. წარმოიდგინეთ, დედაქალაქის წყლით მომარაგება (რუსთავის წყლის კომპანია და სხვა) მტრის ხელშია. ასევე მტრის ხელშია მადნეულის კომბინატი და რუსთავის „აზოტი“, რომლებიც ყველაზე ღირებულ საექსპორტო ნედლეულს უშვებს. ასე რომ, ფაქტობრივად, ეს წელი იყო ეკონომიკური თვალსაზრისით გაშიფვრა საქართველოს ხელისუფლების რეალური სახისა, რეალური საგარეო პოლიტიკური ორიენტირების წარმოჩენისა, რაც არ უნდა ლანძღვა-გინება იყოს რუსეთის მიმართულებით. ვინც ფლობს ეკონომიკას, ის ფლობს იმ სახელმწიფოს და პოლიტიკასაც ის ატარებს. რეალურად ის არის იმ სახელმწიფოს ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი.

აშკარა გახდა, რომ ყველა მიმართულებით კატასტროფული შედეგებია. მაგალითად, აგრარულ სექტორში კატასტროფული შედეგებია — 2010 წლის წინასწარი მონაცემებით, აღმოჩნდა, რომ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიწების 70% არ დამუშავდა. იმ ფერმერებმა და გლეხებმაც, რომლებიც მძლავრად იყვნენ და შეეძლოთ, ნაწილობრივ მაინც დაემუშავებინათ, უარი თქვეს მიწის დამუშავებაზე, რადგან აზრი არ აქვსო. მიზეზი ისაა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აბუჩად აიგდო მთელი აგრარული სექტორი. მთელი საქართველო იმპორტზეა დამოკიდებული. შედეგი ისაა, რომ ადამიანები მასობრივად იწამლებიან. უბედურება ტრიალებს, რადგან საქართველოში იაფფასიანი და უხარისხო საქონელი შემოაქვთ, რაც იწვევს ხალხის მოწამვლას. გარდა ამისა, აგრარული სექტორის უპატრონობამ აღმოსავლეთ საქართველოში მინდვრის მავნებლების გამრავლება გამოიწვია. ამიტომ არაფრის დათესვას აზრი არ აქვს. როგორც სამართებლები, ისე ჭრიან მავნებლები ნათესებს. ძირითადად მინდვრის თაგვებზეა ლაპარაკი, რომელიც მასობრივად არის მოდებული, ამიტომ დათესვასაც აზრი არ აქვს. ამ პრობლემის მოგვარებას სახელმწიფოს მხარდაჭერა სჭირდებოდა. ჩვენთან უამრავი ადამიანი მოდიოდა და გვთხოვდა, გვეშველა — გვეშოვა ის წამალი, რომელიც მავნებლებს გაანადგურებდა.



გარემოს დაცვის მინისტრის პრემია არ ეკუთნის

*— მღრღნელების ასეთი მასობრივი გამრავლება რამენაირი დივერსიის შედეგი ხომ არ არის?*

— აუცილებელი კი არ არის, დივერსია დაარქვათ იმას, რომ ვილაცამ სპეციალურად შემოიყვანოს და გაამრავლოს. თუმცა, ამაში არის გარკვეული ლოგიკა. ეჭვებიც არსებობს. 2005 წელს საქართველოს ხელისუფლებამ გააუქმა ფიტოსანიტარიული სამსახური, რომელიც საზღვრებზე აკონტროლებდა მავნებლებისა და სხვადასხვა სარეველებიანი თესლების შემოტანას (სტერილიზაცია უნდა გაკეთებულიყო, რომ თესლებს სარეველები არ შემოჰყოლოდა), ბევრი პრობლემა სოფლის მეურნეობას ამან შეუქმნა. ასე რომ, საქართველოს სოფლის მეურნეობის წინააღმდეგ 2005 წელს ჩაიდინეს დივერსიული აქტი. ახლა პრობლემა ისაა, რომ მღრღნელებთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემას ერთი ფერმერი და ერთი გლეხი ვერ მოერევა, აზრი არ აქვს. რაც არ უნდა დიდ ფართობზე მოსპო მღრღნელები, მეორე ნაკვეთიდან მაინც გადმოვა. ამას სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან ძალიან სერიოზული ბრძოლა, რაც არ კეთდება. ამისთვის ფულიც არ არის გამოყოფილი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მომავალ წელს საქართველო ქართული პროდუქციის გარეშე დარჩება. იმპორტის შემოტანაც უკვე პრობლემაა, საზღვრებზე ძარცვავენ და გლეჯენ, საშინელ დღეში აყენებენ. რადგან მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი დღითიდღე ქვეითდება, შეიძლება, დადგეს მომენტი, რომ იმპორტიორმაც უარი თქვას პროდუქციის შემოტანაზე.

*— აქედან გამომდინარე, შიდა პოლიტიკური თვალსაზრისით რა ვითარება შეიძლება შეიქმნას?*

— ასეთ სქემაში, როდესაც აღარაფერი მუშავდება, მთელი მრეწველობა სხვის ხელში გადავიდა, ფაქტობრივად, საქართველოში ინვესტიციებიც აღარ შემოდის, 2007 წელს პირდაპირი ინვესტიციები, ანუ საზღვარგარეთული ფირმები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში დებდნენ კაპიტალს — რაღაცას ყიდულობდნენ, აშენებდნენ — და მისი ოდენობა 2 მილიარდ ნახევარზე მეტი იყო, ბოლო მონაცემებით, 2010 წელს სულ 500 მილიონია.

*— საგრძნობი შემცირებაა...*

— დიახ, საგრძნობლადაა შემცირებული. საზოგადოებამ არ იცის, მაგრამ ეს საზოგადოებას პირდაპირ ურტყამს, იმიტომ რომ ნაკლები ვალუტა შემოდის. ეს ინფლაციას ხელს უწყობს და ისევ პროდუქციის გაძვირებას გამოიწვევს. ამას დავამატოთ ის, რომ, ფინანსთა მინისტრის განცხადებით, სავალუტო ფონდმაც უარი თქვა საქართველოსთან ურთიერთობაზე. ეს რეალურად კატასტროფაა. სააკაშვილმა წინმსწრებად იმიტომ განაცხადა, ჩვენი პრობლემა ინფლაციააო. მომავალ წელს ფასები კატასტროფულად გაიზრდება.

*— სავალუტო ფონდმა საქართველოსთან ურთიერთობაზე უარი რატომ თქვა, მიზეზი რა იყო?*

— მიზეზი ობამასთან შეხვედრაა. ფაქტობრივად, ობამამ სააკაშვილს უთხრა, დრო მოვიდა, უნდა წახვიდეო. სავალუტო ფონდი არის უძლიერესი ფინანსური მანქანა, რომელზეც არა მარტო საქართველოს ფინანსური სტაბილურობაა დამოკიდებული (მათი დახმარებით ხდება შესაძლებელი ინფლაციის შეკავება, რომ ქვეყანაში კატასტროფული ინფლაცია არ მოხდეს), არამედ სავალუტო ფონდზეა დამოკიდებული ჩვენი ვალების გადავადება პარიზის კლუბში. მისი რეკომენდაციების გარეშე შეუძლებელია ვალების გადავადება. სხვათა შორის, 2011 წლიდან იწყება ჩვენი საგარეო ვალების გადახდა. წარმოიდგინეთ, რა შედეგები შეიძლება დადგეს.

*— მაშინ როგორღა განმტკიცდა სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მდგომარეობა, რასაც ჩვენ ბოლო დროს გვიჩიჩინებენ?*

— სააკაშვილი კი არ განმტკიცდა, პირიქით, საქართველოს ხელისუფლებას პრობლემები შეექმნა. ბიუჯეტში, ფაქტობრივად, შემოსავლები აღარ არის იმ რაოდენობით, რაც საჭიროა ქვეყანაში პენსიების, ხელფასების დასარიგებლად, სხვადასხვა სოციალური საკითხისა და ჯანდაცვის მოსაგვარებლად. ხელისუფლებამ კი გამოაცხადა, ჩვენ მოვიჭერთ ქამრებსო, სინამდვილეში საქართველოს მოსახლეობის დახრჩობა დაიწყო.

*— შეიძლება, ხელისუფლებამ პენსიებიც ვერ დაარიგოს?*

— არის ვარიანტი, რომ მომავალში ხელისუფლებამ შეიძლება პენსიებიც ვერ დაარიგოს. ამიტომ დაიწყო არა მარტო მსხვილი, არამედ წვრილი ბიზნესმენების საშინელი დევნა, დაჭერები. ძალიან საინტერესო სტატისტიკას წარმოგიდგენთ. 2010 წლის 9 თვის მონაცემები მაქვს. გადასახადებთან დაკავშირებით სასამართლოში განხილული საქმეების რაოდენობა იყო სულ 579, 2010 წელს მისი რაოდენობა გაიზარდა 2600-მდე. ეს ის საქმეებია, რომლებიც ეხება იმ ბიზნესმენს, რომელიც ჯარიმას ვერ იხდის. ამიტომ საგადასახადო სასამართლოში მიდის, რომ სასამართლო წესით დააყადაღოს. რამდენ ბიზნესმენს აწერენ ფულს, ამაზე აღარ ვისაუბრებ. ბიზნესმენებისთვის ფულის შეწერა ხელისუფლების ფულის შოვნის გზაა. რადგან ხელისუფლებამ იცის, რომ საშინელი პრობლემები აქვს, ტერორი სულ უფრო და უფრო მძაფრდება. ინგლისელებმა ჩაატარეს ძალიან საინტერესო კვლევა. არსებობს სპეციალური ფონდი, რომელიც აფასებს სასამართლოში განხილული საქმეების სამართლიანობასა და პატიმართა რაოდენობას ქვეყნების მიხედვით. ბოლო მონაცემებით, ჩვენ მსოფლიოში ვართ მესამე ადგილზე პატიმართა რაოდენობით 100 ათას კაცზე გადაანგარიშებით. პირველ ადგილზეა შეერთებული შტატები — 750 კაცი ჰყავთ პატიმარი 100 ათას კაცზე, მეორე ადგილზეა რუსეთი — 604 კაცი ჰყავთ პატიმარი 100 ათას კაცზე. საქართველო არის მესამე ადგილზე, 100 ათას კაცში 530 კაცია დაპატიმრებული.

*— ისინი დიდი ქვეყნები არიან, ჩვენ ამერიკის ერთი შტატის ხელაც არ ვართ...*

— არიან თანამედროვე ქვეყნები, სადაც 70-80 კაცი ჰყავთ დაპატიმრებული 100 ათას კაცში. სომხეთში 109 კაცია, აზერბაიჯანში — 220, ჩვენთან კი — 530. მსოფლიო რეკორდი დავამყარეთ. 2003 წელს საქართველოში 100 ათას კაცში 130 კაცი იყო დაპატიმრებული. ახლა არის 530, რაც გაიზრდება და გაიზრდება. საერთოდ, ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს ციხეებში პატიმრების რაოდენობა 23 611 კაცია. ესენი არიან პატიმრები, რომლებსაც განაჩენი გამოტანილი აქვთ. ვინც დროებით იზოლატორშია, მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. ამ ხელისუფლების მონაცემებით, საპატიმროებში 24 ათასი ადგილი აქვთ, მაგრამ არა — ევროპული სტანდარტების. სინამდვილეში საქართველოს ციხეებში 10 ათას ადგილზე მეტი არ არის. ციხეებში პატიმრებს დასაჯდომი ადგილიც არ აქვთ. ამიტომ, ბუნებრივია, ხელისუფლება ხალხის დაშინებით, შევიწროებით ცდილობს თავის გადარჩენას. ყველაზე საინტერესოა, ხელისუფლებას როგორი მექანიზმი აქვს შემუშავებული ხალხის დასაშინებლად. არ ვლაპარაკობ იმაზე, ქუჩაში ნებისმიერი ადამიანის გაჩერება და გაჩხრეკა რომ შეუძლია ყოველგვარი მიზეზის გარეშე. 2010 წლის მონაცემებით, განხილულ იქნა 12 ათასი სისხლის სამართლის საქმე. როგორ გგონიათ, რამდენი გამამართლებელი განაჩენია გამოტანილი? 12 ათასიდან 7 საქმეა გამამართლებული. ეს არის 0,06%. ევროპის ქვეყნებში კი დაახლოებით 40-45%-ს შეადგენს. 30-იან წლებში ტროიკების დროს 7-8% გახლდათ გამართლება, ბოლშევიკების სახალხო სასამართლოებში კი 17-18%-ს ამართლებდნენ. სამხედრო ტრიბუნალი რომ იყო, ერთ-ერთ ტრიბუნალში გამართლება 48%-ს შეადგენდა და ამის გამო ტრიბუნალის ხელმძღვანელი დააქვეითეს. ამ დროს საქართველოში დღეს არის 0,06%. ეს არის ნამდვილი ტერორისტული ქვეყანა, სადაც ხელისუფლებამ მოსახლეობა ვერ უზრუნველყო, თავისი სიხარბის, უცოდინრობის, შიშების გამო შექმნა სისტემა, რომ ხალხი დატერორებული ჰყავდეს.

*— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, გამართლების მაღალი პროცენტი იმიტომ არ არის, რომ ასეთი საქმეები პროკურატურის მიერ წინასწარვე აღარ იგზავნება სასამართლოშიო.*

— რა ამბობთ, ე.ი. დასავლეთის სისტემაზე უკეთესი სისტემა გვაქვს?

*— არ ვიცი, ბატონო გიორგი, ეტყობა, პროკურატურა კარგად მუშაობს...*

— ეს სპეციალურად შემუშავებული პოლიტიკაა, რომ ხელისუფლებას მოსახლეობა მაქსიმალურად ჰყავდეს დატერორებული. საქართველოს მოსახლეობას სამართლის პოვნის საშუალება არ ჰქონდეს, დამონებული, გამათხოვრებული დადიოდეს და ხმა ვერ ამოიღოს. იცით, სამინისტროებში როგორი მაღალი ხელფასებია? როგორ გგონიათ, გარემოს დაცვის მინისტრის ხელფასი რამდენია...

*— გარემოს დაცვის სამინისტროში ვინმე მუშაობს? ყველა დაიჭირეს და ვინღა იღებს ხელფასს?*

— გარემოს დაცვის მინისტრს 12 თვის განმავლობაში 93 ათას 456 ათასი აქვს აღებული. არ გაინტერესებთ, პრემია რამდენი აქვს აღებული? — 75 ათასი. ჯამში, გარემოს დაცვის მინისტრის შემოსავალი წლის განმავლობაში 168 ათას ლარს შეადგენს. თვეში 14 ათასი გამოდის. ეს მაშინ, როცა მთელი საქართველო ხანძრებმა წაიღო, ხანძრების პრევენციისთვის კი გარემოს დაცვის სამინისტროში 50 ათასია გამოყოფილი ბიუჯეტიდან. ეს ნორმალურია? მთელი სამინისტროს პრემიალური ფონდი მილიონ დოლარს შეადგენს. შს სამინისტროს ამხელა შემოსავალი კვარტალში აქვს. ამ დროს ადამიანებს 80-90 ლარი აქვთ პენსია.



ნანა მიშელაშვილი

# ხელისუფლება ოპოზიციაზე შაყირობს

## ინტერვიუ დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილთან

***— ოპოზიციური პარტიები, რომლებიც საარჩევნო კოდექსზე მუშაობთ, თუ აპირებთ დასვათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შეცვლის საკითხი?***

— ეს საკითხი კონტექსტიდან მოწყვეტილად არ უნდა განვიხილოთ. თუ ჩვენ წავედით იმ გზით, რომ რამდენიმე თვეში ახალი საარჩევნო კოდექსი უნდა დავდოთ და ფაქტიურად აქეთ მივდივართ, დღის წესრიგში დადგება ცესკოს შეცვლის საკითხი, ასევე დადგება სხვა დონის კომისიების შეცვლისა და გადახალისების საკითხი.

***— ცესკოს თავმჯდომარის, ხარატიშვილის გადადგომის საკითხსაც დასვამთ?***

— ამ ეტაპზე ჩვენ ასე ხისტად ამ საკითხს არ ვაყენებთ.

***— თქვენი პარტიის აზრით, როგორ უნდა დაკომპლექტდეს ცენტრალური საარჩევნო კომისია?***

— იმ იდეების გამომზეურების დრო, რაც ჰქონდა ოპოზიციურ რვიანს და სხვა პარტიებს, დასრულდა. სიღნაღში გაიმართა გასვლითი სხდომა, პროცესი ძალიან დინამიურად მიმდინარეობს.

***— კოდექსში რა შეიცვლება და რა არა, ეს როდის გახდება ცნობილი?***

— მარტში ჩვენ უკვე გვეცოდინება, რაზე შეიძლება ხელისუფლებასთან საუბარი. სხვათა შორის, ხელისუფლებამ წინსწრებად დაიწყო ბიომეტრიულ პირადობის მოწმობებზე საუბარი. ჩვენმა გაუთავებმა საუბარმა ბიომეტრიულ პირადობის მოწმობებზე შედეგი გამოიღო. ჩაითვალოს ეს ხელისუფლების ინიციატივად, ეს აბსოლუტურად არ მაღელვებს, მაგრამ აქ ერთი დათქმაა, ხელისუფლება ამბობს, რომ ბიომეტრიული პირადობის მოწმობების დარიგებას აპირებს, მაგრამ ამ მონაცემების გამოყენება შესაძლებელი ვერ იქნება არჩევნების პერიოდისთვის.

***— რატომ?***

— ასე ამბობენ, რომ დამატებით ინფორმაციების ჩატვირთვაა საჭირო. ერთ მარტივ მაგალითს გეტყვით: კენიაში, სადაც 16 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, სამ თვეში გაეროს დახმარებით ბიომეტრიული პირადობის მოწმობები დაინერგა და ჩატარდა არჩევნები. იმ ქვეყანაში, სადაც 16 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, სამ თვეში ეს გაკეთდა. იმ ქვეყანაში, სადაც ორ მილიონზე მეტი ამომრჩეველი არ არის, ძალიან ადვილად შესაძლებელია, რომ ორ წელიწადში ეს გაკეთდეს.

***— ე. ი. საპარლამენტო არჩევნებისთვის სრულიად შესაძლებელია, რომ ბიომეტრიული პირადობის მოწმობებით ჩატარდეს არჩევნები?***

— რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია, მთავარია ამის პოლიტიკური ნება.

***— ამას გარკვეული თანხები ხომ სჭირდება?***

— დიახ. ამ მოლაპარაკების დასრულებას ბევრი დონორი ორგანიზაცია ელოდება, მათ შორის ამერიკული და ევროპული ორგანიზაციები მზად არიან, უსასყიდლოდ ჩაერთონ ამ პროექტის განხორციელებაში. ანუ საქართველოს უსასყიდლოდ გადმოსცენ ის ტექნიკა და აპარატურა, რომელიც საჭირო იქნება დემოკრატიული, თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად. გაგახსენებთ 2003 წელს, როდესაც ცესკო წერეთელზე, გამოფენის ტერიტორიაზე გადავიდა, მაშინ ერთი ამბავი იყო ატეხილი იმაზე, რომ ამომრჩეველთა სიები გადაუმოწმებელი იყო. მაშინ ვინ შემოიტანა ტექნიკა იმისთვის, რომ ცესკო და საუბნო კომისიები სრულიად ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილი? ვინ და ჩვენმა პარტნიორმა, დონორმა ორგანიზაციებმა ნაბიჯი გადმოდგეს და თანამონაწილენი იყვნენ ამ პროცესის. ხელისუფლების წარმომადგენლებს მივმართავ, ამისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება, რომ ეს გაკეთდეს, თუ პოლიტიკური ნება იქნება, მაშინ ეს გაკეთდება. რვა ოპოზიციურმა პარტიამ სხვა პარტიებიც შემოვიერთეთ და დავსხედით მოლაპარაკების მაგიდასთან. ლაყბობის დრო დამთავრდა, საქმის დრო მოვიდა.

***— ოპოზიციის ნაწილი ხელისუფლებასთან ერთად საარჩევნო კოდექსზე ადგილობრივი არჩევნების წინაც მუშაობდა, თუმცა, შემდეგ ოპოზიციას მიღებული ცვლილებები არ მოეწონა. იგივე ხომ არ მოხდება ახლაც?***

— იგივე არ მოხდება ახლაც იმიტომ, რომ ჩვენ ერთიანი პოზიციით ვართ წარდგენილი. ყველას ახსოვს, მაშინ რა მოხდა „ენდიაის“ ფორმატით, როდესაც ხდებოდა მუშაობა, მაშინ პავლე კუბლაშვილი გაიბუტა, გამოიქცა ენდიაის ოფისიდან, პარლამენტში შეკრიბა საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი და მათთან ერთად მოამზადა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები. შესაბამისად, ამ კოდექსით ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები. ასეთი რაღაც ახლა ვეღარ მოხდება, რადგან საპარლამენტო ოპოზიციის ფაქტიურად ყველა სუბიექტი ჩართულია ამ პროცესში. ხელისუფლება ვეღარ გახლეჩს მოლაპარაკების მაგიდას. ცესკოს ოფისში მიმდინარეობს მოლაპარაკება.



***— ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც ოპოზიციამ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად უნდა გადაწყვიტოს, რომელია?***

— ასეთი რამდენიმე საკითხია. ეს არის: მედია გამჭირვალობის საკითხი, თავისუფალი სასამართლოს თემა, რომელმაც უნდა განიხილოს საარჩევნო დავები, ასევე საუბარია საარჩევნო სიებზე, საარჩევნო ადმინისტრაციებზე, არჩევნების ბოლო დღეზე და ადმინისტრაციული დაწესებულების გამიჯვნაზე საარჩევნო პროცესისგან. „თავისუფალი დემოკრატების“ მოთხოვნით, პრეზენტაციების პერიოდი დავასრულეთ. ჩვენ ჩვენი პოზიციები და მოსაზრებები ხელისუფლებას გავაცანით, ახლა ველოდებით ხელისუფლების ხედვას ყველა საკითხთან დაკავშირებით. დეკემბერში უშიშროების საბჭოს მდივანს, გიგა ბოკერიას, ირაკლი ალასანია შეხვდა. ამ შეხვედრისას ძირითადი საკითხი იყო, როგორ შეიძლება გაიმიჯნოს ძალოვანი სტრუქტურები საარჩევნო პროცესისგან. რა უნდა შეიქმნას არა მარტო არჩევნების პერიოდში, არამედ არჩევნებამდე. ჩვენი აზრით, ინტერპარტიული ჯგუფი უნდა შეიქმნას. თავის დროზე პარლამენტის თავმჯდომარესთან ჯგუფი იყო შექმნილი, რომელიც უშედეგო იყო. ახლა უნდა შეიქმნას სერიოზული ჯგუფი, რომლის ფუნქციები კანონით ან კანონქვემდებარე აქტით უნდა განისაზღვროს.

***— რა უნდა გააკეთოს ამ ინტერპარტიულმა ჯგუფმა?***

— ეს ინტერპარტიული ჯგუფი გააკონტროლებს ყველა ფაქტს, ყველა დარღვევის ადგილზე გავა, ყველა თანამდებობის პირის მოქმედების კანონიერებას გადაამოწმებს, ვინც უხეშად ჩაერევა საარჩევნო პროცესში. ამ ინტერპარტიულ ჯგუფთან მედიაცენტრი უნდა იყოს შექმნილი, რომელიც ჟურნალისტების მონაწილეობით გამოააშკარავებს ყველა დარღვევას. კიდევ ერთი, ამ პროცესში ჩვენ ჩართული გვყავს ბატონი ირაკლი ალასანიას მეშვეობით ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია და ევროკავშირი. ამ პროცესის მეთვალყურეობას ისინი ბოლომდე გააგრძელებენ. ის, რომ პროცესი დაიძრა და დინამიურობას იძენს, მათ შორის საერთაშორისო მოთამაშეების შედეგად მოხდა. ყველამ უნდა იცოდეს, მათ შორის საქართველოს ხელისუფლებამ, თუ იგი ამ პროცესს ხელს ჰკრავს, თუკი ისევ მარგინალიზაციისკენ წაიყვანს პროცესს, იგი არა მარტო ქართული დემოკრატიული ოპოზიციის წინაშე დადგება, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე ძალიან დიდი პრობლემები შეექმნება. თანაც თუ გავითვალისწინებთ იმას, რამხელა ფასი აქვს 2012 წლის არჩევნებს. ვსაუბრობ იმ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომელსაც მხარი დაუჭირა არა მარტო საპარლამენტო უმრავლესობამ, არამედ უმცირესობამაც. სააკაშვილს აშკარად სურს საქართველოს პრემიერმინისტრობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიხეილ სააკაშვილის პრემიერმინისტრობა საბოლოოდ გააჩანაგებს ქვეყანას. ყველაფერი ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს საარჩევნო ურნასთან და არა მიტინგებზე, მანიფესტაციებსა და მსვლელობებზე, რომელიც საპირველმაისო „მარშიროვკებს“ დაამსგავსა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ და მისმა მეგობრებმა.



ისინი, ვინც ბურჯანაძე გააოპოზიციონერა, ყველაფრის ღირსნი არიან

***— გავრცელდა მოსაზრება, რომ შესაძლოა პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150 წევრიდან 200-მდე გაიზარდოს. დეპუტატთა რაოდენობის გაზრდაზე რას იტყვით?***

— ეს თემა ხელისუფლებამ სასინჯ ქვად შემოაგდო. ეს ხელისუფლების მხრიდან მოდის და დარწმუნებული ვარ, ზოგიერთი ე.წ. ოპოზიციური პარტია ამ იდეას გააჟღერებს ხოლმე. პატარა ბავშვმაც იცის, ვინ ვინ არის და ვინ რას აკეთებს ოპოზიციაში.

***— რაში დასჭირდათ ამ იდეის გაჟღერება?***

— იმიტომ დასჭირდათ, რომ მაჟორიტარები თავიანთი ბუნებით, მენტალობით, ჩვენდა სამწუხაროდ, ხელისუფლების დასაყრდენი არიან. იქედან გამომდინარე, რომ ხელისუფლება ე.წ. ბიზნესწრეებიდან, ამ ადამიანებიდან მარტივად შეარჩევს ხოლმე მაჟორიტარებს. ამ ადამიანებთან კონკურენცია ფაქტიურად შეუძლებელია. როდესაც ე.წ. ბიზნესიდან წასული მაჟორიტარი ნახევარ მილიონს ხარჯავს, მისი მოგება ფაქტიურად შეუძლებელია. ხელისუფლება დაშინების ან მოქრთამვის გზით მარტივად პოულობს ე.წ. მეწარმეებს, რომლებიც ხდებიან ვაიპოლიტიკოსები და საკუთარ თავს მაჟორიტარულ ოლქში წარადგენენ. ეს არის ნოყიერი ნიადაგი ხელისუფლებისთვის. ზოგიერთი ასეთი მაჟორიტარობის კანდიდატი ამომრჩეველს სჩუქნის მეწველ ძროხებს, თხებს, ტომარა ფქვილსა და შაქარს. ხელისუფლებას სურს, რომ მაჟორიტარების რიცხვი 100-მდე გაზარდოს.

***— ესე იგი, თქვენი პარტია დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას არ დაეთანხმება?***

— არ დაეთანხმება. რეფერენდუმის შედეგად მოსახლეობამ მხარი დაუჭირა დეპუტატთა რაოდენობის 150-მდე შემცირებას. ახლახან გავიგე ასეთი მოსაზრება, რეფერენდუმის პირობები დავაკმაყოფილეთ და ეს პარლამენტი 150 წევრიანია. ზოგიერთი ამბობს, რომ ამ მხრივ სამართლებრივი პრობლემები არ არის, რადგან ერთ არჩევნებში ეს მოთხოვნები დააკმაყოფილეს. შეიძლება რაღაც ლოგიკა იყოს, ვთქვათ, ქვეყანა ვითარდება, 10 საუკუნის შემდეგ დემოგრაფიული პრობლემა გადავწყვიტეთ და ქართველი ერი გახდა 20 მილიონი, ისევ 150 წევრიანი პარლამენტი ხომ არ გვექნება? ასეთი ახსნა მესმის, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, ეს რატომ კეთდება. კეთილშობილური მიზეზი დეპუტატთა რიცხვის გაზრდას არ უდევს.

***— ხელისუფლების წარმომადგენლები დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას შეეცდებიან?***

— არამარტო ამას შეეცდებიან, სხვა საკითხების გატანასაც შეეცდებიან. ჩვენ ასეთ ფორმატზე ვართ შეთანხმებული, რაზეც საარჩევნო ჯგუფში ვთანხმდებით, ხელს ვაწერთ, რაზეც ვერ ვთანხმდებით, სამწუხაროდ, იმაზე ხელისუფლებას პარლამენტში წინააღმდეგობას ვერ ვუწევთ, მაგრამ ამაზე ჩვენ არც ერთ შემთხვევაში პასუხისმგებლობას არ ვიღებთ. იმ შედეგებზე პასუხისმგებლობას იღებს ხელისუფლება.



დეპუტატთა რაოდენობის გაზრდა დაუშვებელია

***— რაც შეეხება ოპოზიციის შიგნით მიმდინარე პროცესებს, კომპრომატების ომი, რომელიც დეკემბერში დაიწყო, ალბათ კარგა ხანს გაგრძელდება. რას იტყვით ოპოზიციის შიდა დაპირისპირებაზე?***

— აბსოლუტურად ვემიჯნები ამ ბაქანალიას. ერთი რამ უნდა აღვნიშნო, ის პარტიები, რომლებიც სცენარის რევოლუციურ განვითარებას ქადაგებენ, ამ ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებენ, საიდანაც ჩვენ ვერასოდეს გამოვალთ. თუ ასე განვითარდა მოვლენები, შეძლება ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის საკითხი დადგეს. ნებისმიერი რევოლუცია შობს იმავე დონის რეაქციას და კონტრრევოლუციას. 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალებამ თავის წიაღში დაბადა 2003 წლის რევოლუცია. ვიღაცას ეგონა, რომ 1992 წელი შორს არის და ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ისტორიისთვის ეს არაფერია. ეს არის ერთგვარი მოჯადოებული წრე: რევოლუცია, კონტრრევოლუცია. ადამიანების ნაწილს ჰგონია, რომ მათი თავისუფლება რევოლუციაშია, ეს არის ყველაზე დიდი შეცდომა. რევოლუცია ზედაპირზე ატივტივებს ერის ყველაზე პოლიტიკურად მახინჯ ძალებს. ჩვენ არ ვებრძვით ქარის წისქვილებს, ჩვენ გვინდა ეს მოჯადოებული წრე გავარღვიოთ. ერთ რამეს გაგახსენებთ, წელიწადნახევრის წინ ვამბობდი, რომ ნინო ბურჯანაძისნაირი პოლიტიკოსების გვერდზე დაყენება ნებისმიერ კეთილშობილურ საქმეს ჩააფლავებს. ძალიან ბევრი ადამიანი აქციების დროს მეუბნებოდა, რომ ტრიბუნაზე ავსულიყავი და სიტყვით გამოვსულიყავი, მაგრამ ეს არ გამიკეთებია, ფეხი არ ამიდგამს ტრიბუნაზე. მე არ დავდგები ბურჯანაძეების და მსგავსი დონის პოლიტიკოსების გვერდით.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ეს არის ჩემი პრინციპის საკითხი. ეს არის ჩემი ცხოვრებისეული კრედო. ვინც პოლიტიკაში თავის კრედოს უღალატებს, ვერასდროს წელში ვერ გასწორდება. ამას იმ ადამიანების გასაგონად ვამბობ, ვინც თავის დროზე ბურჯანაძე „გაათეთრა“ თავისი შეგნებით. ადამიანი, რომელიც პარლამენტის სხდომათა დარბაზში ამბობდა, რომ მე და პრეზიდენტმა სააკაშვილმა მივიღეთ უმძიმესი გადაწყვეტილება 7 ნოემბრის მიტინგი ალგვეკვეთა, 6 თვის შემდეგ ამ ადამიანს ხელი მოჰკიდო და ტრიბუნაზე დაიყენო, მეტის ღირსები არიან.

***— კიდევ ბევრი იქნება ერთმანეთის წინააღმდეგ კომპრომატები?***

— რა თქმა უნდა, ამაში დარწმუნებული ვარ. ხელისუფლება ზის და ჩვენზე შაყირობს. ზოგიერთი კიდევ იძახის, პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნას, რომელიც სკანდალს გამოიძიებსო. თქვენს წიაღში შექმენით საგამოძიებო კომისიები და ყველაფერი გამოიძიეთ, რაც გიკეთებიათ და რაც არ გიკეთებიათ. ოღონდ ერთ რამეს ვიტყვი, ხალხს თავი დაანებონ, ნუ „აბოლებენ“. ჯერ ერთმანეთში გაარკვიონ რა უნდათ და შემდეგ მიმართონ სხვებს. კიდევ ერთი, იმ დაწუნებულებს, რომლებიც ზოგიერთი ოპოზიციონერი დილიდან საღამომდე ლანძღავს, კომისიის შექმნას სთხოვს? მე მგონი, ზოგიერთს რაღაცები აერია, რბილად რომ ვთქვა.

# ბათუმი შავი ფულის გათეთრების ადგილი გახდა

თეა მარხვაი ე

***— გასულ წელს თქვენ დააფუძნეთ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური მისია. ცხინვალსა და სოხუმში ვერ წახვედით. სამაგიეროდ, ძალიან ხშირად დადიხართ ვლადიკავკაზში. შემთხვევით ჩრდილოეთ ოსეთის შემოერთებასაც ხომ არ აპირებთ?***

— მე ვლადიკავკაზის ვიზიტებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ბედნიერი ვარ იმით, რომ გასული წლის ბოლო დღეები იქ გავატარე. სადაც კი გავდიოდი ქუჩაში, ყველგან ქართული ლაპარაკი მესმოდა. თავი საქართველოში მეგონა. საქართველოდან იქ ძალიან ბევრი ადამიანია წასული, როგორც ქართველები ასევე ოსები. ძალიან ბევრ ადამიანს შევხვდი. ეს იყო სითბოთი და ტკივილით სავსე შეხვედრები. ჩვენ ვწუხდით იმ სისულეების გამო, რომელიც პოლიტიკოსებმა ჩაიდინეს. ამ სისულელეებს ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვა. იმედი მაქვს, რომ ჩვენ შორის ყველაფერი შეიცვლება. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ახალგორში ჩასვლა.

***— იქ ჩასვლას ქართულ-ოსური მედიის წევრები წინა წელსაც აპირებდით. შარშან ეს არ გამოგივიდათ. თქვენი აზრით, წელს გამოგივათ?***

— მისიის წევრები ძალიან მონდომებულები ვართ. ჩვენ აუცილებლად უნდა ჩავიდეთ ახალგორში. ახალგორში ჩვენი პირველი ვიზიტი საორგანიზაციო ხასიათის იქნება.

***— სავარაუდოდ, როდისთვის აპირებთ საორგანიზაციო ხასიათის ვიზიტით წასვლას?***

— თუ რაიმე არ შეიცვლა, ამ თვეში გვინდა ჩასვლა. მოვემზადებით დიდი შეხვედრისთვის, რომელმიც მომავალში შედგება. ახალგორში ჩასვლას დიდი მნიშვნელობა რომ ექნება, ამაში ვლადიკავკაზში ყოფნის დროსაც დავრწმუნდი. იქაც ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები მქონდა. ძალიან გავლენიან პიროვნებებს შევხვდი. მათ შორის ერთ-ერთი გივი ხუბაევი იყო. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მან მე სიკვდილისგან მიხსნა.

***— როდის ანდა რანაირად გიხსნათ სიკვდილისგან?***

— ეს წლების წინ მოხდა. ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერება იყო მასთან შეხვედრა. ეს იყო ორი მეგობრის, ორი ძმის შეხვედრა. ჩვენ ძალიან დიდხანს ვისაუბრეთ. გავიხსენეთ ბევრი რამე, მათ შორის ის საშინელებაც, რაც ქართველებს და ოსებს დაგვატყდა თავს. 1991 წელს, შობა დღეს, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო ძალიან უგუნური გადაწყვეტილება. მხედველობაში ცხინვალში პოლიციის შეყვანა მაქვს. მე იმ პერიოდისთვის ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ცხინვალში ქუთაისის პოლიციაც წაიყვანა. ამის შესახებ ჩემთვის არაფერი იყო ცნობილი. როგორც კი ეს ამბავი გავიგე, მაშინვე ცხინვალში ჩავედი. გივი ხუბაევი მაშინ იქ იყო, ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა ეკავა. ქალაქში რომ შევედი, საშინელი სროლები იყო. პირდაპირ შტაბში მივედი. გივიმ ღამის გასათევად თავის სახლში წამიყვანა. მაშინ მან სიკვდილისგან მიხსნა. მეორე დილით მე მივიღე ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ამით დღემდე ვამაყობ.

***— რა გააკეთეთ ასეთი?***

— შევკრიბე ქუთაისის პოლიციის წარმომადგენლები და წამოვიყვანე უკან, ქუთაისში.

***— რა მოტივით წამოიყვანეთ უკან?***

— მიმაჩნდა, რომ ეს არ იყო ქუთაისის პოლიციის საქმე. ვთქვი ისიც, რომ ცხინვალის პრობლემის მოგვარება ომით არ შეიძლებოდა. ომსა და უბედურებაზე ბევრი ვისაუბრე ოსებთან. ისინი მიიჩნევენ, რომ ჩვენ შორის ყველაფერი მოგვარდება. ხელისუფლებისგან დაშვებული შეცდომებიც ვახსენეთ. აგვისტოს ომის გამო ისინი ძალიან ნაწყენები არიან. ამაზე დიდ უბედურებად მათ სხვა რამე მიაჩნიათ. ეს დიდი უბედურება სამხრეთ ოსეთის ახალი მთავრობის შექმნაა, რომელიც ახლა თბილისში გვიზის.

***— სანაკოევის ხელისუფლებაზე საუბრობთ?***

— სანაკოევზე ვსაუბრობ, რომელიც არის თავისი ხალხის მოღალატე. კაცი თავის ხალხს რომ უღალატებს, იმან სხვა ერს რა სიკეთე უნდა მოუტანოს? მასთან დაკავშირებით ოსები ძალიან ცუდად არიან განწყობილი. მასზე ბევრ ცუდ რამეს მოყვნენ. გაიხსენეს ის პერიოდი, როცა ის სამხრეთ ოსეთის სამხედრო მინისტრი იყო. ყველაზე დაუნდობლად ის ექცეოდა თურმე ქართველებს. ამ დაუნდობლობის გამო მას თავად ოსი მებრძოლები საყვედურობდნენ. ჩვენი ხელისუფლება კი ამ კაცთან არის ჩახუტებული. ამის გამო ოსები გაგიჟებული არიან. ისინი პატივს გვცემენ ქართველებს და უკვირთ, როგორ გამოვნახეთ ჩვენ მასთან საერთო ენა. ვერაფრით აუხსნიათ, რა საერთო გვაქვს ქართველებს მოღალატეებთან. მე ავუხსენი, რომ მოღალატეები ქართველებს კი არა, სააკაშვილს უყვარს. ამ სააკაშვილს კი ისეთი ფიზიონომია აქვს, ეგრევე ჩანს მოღალატეები და ჩამშვებები რომ უყვარს. სხვანაირად როგორ შეიძლებოდა სანაკოევს ჩახუტებოდა, რომელიც ჯერ ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა, შემდეგ თავის ხალხს უღალატა და ახლა საქართველოში დასეირნობს. სანამ სანაკოევს მოძებნიდნენ, ეს თანამდებობა გოჩა ძასოხოვს შესთავაზეს. მან ამ თანამდებობის დაკავებაზე უარი თქვა. უარი თქვა დეპუტატობაზეც. მიაჩნდა, რომ ამით ქართულ-ოსური ურთიერთობები გაფუჭდებოდა. ამის გამო მას ხელისუფლებამ მთელი ქონება წაართვა და საქართველოში დაბრუნების უფლებას არ აძლევს. არადა ეს ის ადამიანია, რომელიც სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან ქართულ საქმეს აკეთებდა. იგივე შეიძლება ითქვას ლერი ხაბელოვზეც, რომელიც დღეს ლამის საქართველოს მტრად არის ქცეული. სირცხვილია ძასოხოვს და ხაბელოვს დევნიდე, სანაკოევს კი გულში იხუტებდე. ვერაფერს იზამ, ამათ მოღალატეები უყვართ. ამ მოღალატეებმა ბევრი ცუდი საქმე გაუკეთეს საქართველოს. მე კარგად მახსოვს, როგორ ლანძღავდა მას სააკაშვილი.

***— როდის ლანძღავდა სანაკოევს სააკაშვილი?***

— რამდენიმე წლის წინ. მის შესახებ სააკაშვილმა ყველაფერი კარგად იცოდა. საკმარისი იყო თავისი ხალხისთვის ელალატა, რომ სააკაშვილმა ის მიიღო და მისთვის სტალინის მიერ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ოლქი აღადგინა. ოსებმა მითხრეს, რომ მოღალატე სანაკოევი ქართველებს არაფერში არგიათ. მათ პირობა მომცეს, რომ ისინი საქართველოს მოღალატე ქართველს არასდროს დაელაპარაკებიან. ჩვენ შორის არსებული დაპირისპირების მიუხედავად, მათთვის ქართული ტრადიციების მატარებელი ქართველებია მისაღები. ჩემთვის მხოლოდ ის ოსები და აფხაზები არიან მისაღებნი, რომლებიც თავის ტრადიციებს პატივს სცემენ. ჩვენ საკუთარი ტრადიციების დაცვით ერთმანეთის პატივისცემას შევძლებთ. ეს კი იმის საშუალებას მოგვცემს, რომ ისევ ერთად და მშვიდობიანად ვიცხოვრობთ. მოღალატე ქართველები, ოსები და აფხაზები მარტო ხელს შეგვიშლიან. მე აქტიურად მაქვს დაწყებული მუშაობა აფხაზებთან და ოსებთან. ვთვლი, რომ უნდა შევინარჩუნოთ ადამიანური ურთიერთობები. ვინც საქართველოს მიმართ დადებითად არის განწყობილი, ყველა უნდა გამოვიყენოთ. ამ ეტაპზე მაქსიმალურად შევიკავებთ თავს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობისაგან.

***— ხელისუფლების წარმომადგენლებთან რატომ არ გსურთ ურთიერთობა?***

— ამ ეტაპზე ეს გამართლებული არ არის. რაც იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ხელისუფლების წარმომადგენლების იგნორირებას ვახდენთ. უბრალოდ, ახლა ადამიანური ურთიერთობების დამყარებაა მთავარი.

***— თქვენი განცხადებიდან გამომდინარე, აფხაზეთის და ცხინვალის ხელისუფლებასთან დიალოგს არ უნდა ველოდოთ?***

— ხელისუფლების წარმომადგენლებთან დიალოგი არ იქნება. თავის დროზე სოხუმში წასვლაში ხელი ჩვენმა ხელისუფლებამ შემიშალა. მათი წყალობით ვერ გადავალ ცხინვალშიც. ახალგორში წასვლა გადაწყვეტილია და ნახავთ, რომ ხელისუფლება ამაშიც შეეცდება ხელის შეშლას.

***— რატომ არ უნდა გაგიშვათ ხელისუფლებამ ახალგორში?***

— თუ არ გჯერათ, ჩვენთან ერთად წამოვიდეს „ახალი თაობა“ ახალგორში. იქ თქვენ საკუთარი თვალით ნახავთ, ვინ შეგვიშლის ხელს. ისედაც ყველამ იცის, რომ ახალგორში შესვლაზე ქართველ მოსახლეობას პრობლემებს ქართველები უქმნიან. მე მჯერა, რომ ყველა დაბრკოლება გადაილახება. ადამიანური ურთიერთობების აღდგენით მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა შეიძლება. ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრას ყველგან გავურბივართ, იქნება ეს დსთ-ს ქვეყნები, ევროპა თუ ამერიკა. ჩემთვის მთავარია ხალხი. ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ძალიან ცუდ საქმეს აკეთებენ. პუტინი და მედვედევი გამუდმებით სააკაშვილის რეიტინგს ზრდიან.

***— რანაირად ზრდიან?***

— სააკაშვილს ლანძღავენ და ასე. პუტინმა და მედვედევმა საქართველოდან რუსეთში არც ერთი პოლიტიკოსი არ უნდა მიიწვიო. ერთი წლის განმავლობაში მათ სააკაშვილის გვარი საერთოდ არ უნდა ახსენონ. ასეთ შემთხვევაში მისი მხარდამჭერების რაოდენობა საქართველოში ძალიან შემცირდება. რუსეთის ხელისუფლება სააკაშვილს ხშირად ლანძღავს. ეს სააკაშვილის რეიტინგს ზრდის. ეს ჩვენი ტრაგედიაა. ტრაგედიაა ისიც, რომ ხალხს ის მოსწონს, ვინც რუსეთის ხელისუფლებას ლანძღავს. რუსეთის ხელისუფლება სააკაშვილს კი ლანძღავს, მაგრამ ყველაფერს აკეთებს, რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს ხელისუფლებაში. ამასთან დაკავშირებით მე ძალიან საინტერესო ამბავი გავიგე ვლადიკავკაზში. იქ მითხრეს იმ დავალების შესახებ, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ გასცა. ჩემთვის არ უთქვამთ ვის ეკუთვნის ეს განკარგულება. მე ვვარაუდობ, რომ ეს პუტინი უნდა იყოს. მან გააფრთხილა ყველა, რომ არ წამოეგონ პროვოკაციას. საუბარია ისეთ პროვოკაციაზე, რომლის გამოც ქართველმა ხალხმა შეიძლება სააკაშვილი გაუშვას. მისი მოთხოვნით ის საქართველოს ხელისუფლების სათავეში კიდევ ორი წელი უნდა დარჩეს.

***— რატომ ორი წელი?***

— ორი წლის მერე ბევრი რამე შეიცვლება. ჩემი აზრით, ორი წლის მერე სხვა სიტუაცია იქნება აფხაზეთსა და ცხინვალში. რუსეთი იქედან გაიყვანს თავის ჯარს. სამხედრო ბაზებს, რა თქმა უნდა, დატოვებს. მთელ მსოფლიოს ეტყვის, რომ აგერ, გავიყვანე ჯარი ორივე რეგიონიდან. რაც კარგი არ იქნება, რადგანაც ჩვენ მახეს გვიგებენ.

***— რუსეთის მხრიდან მახის დაგება ჩვენთვის უცხო ნამდვილი არ არის.***

— ამ შემთხვევაში რუსეთზე არ ვსაუბრობ. მე ევროპის ქვეყნებზე ვსაუბრობ. ევროპაში ძალიან ბევრ ქვეყანას გადაწყვეტილი აქვს აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარება.

***— ევროპის ქვეყნები ღიად აცხადებენ, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერენ მხარს. ამის შემდეგ როგორ აღიარებენ აფხაზეთის და ცხინვალის დამოუკიდებლობას?***

— ძალიან მარტივად. ეს რუსული ჯარი გაყვანის შემდეგ მოხდება. უკვე მიდის საუბრები კონფედერაციულ მოწყობაზე. კონფედერაცია ნიშნავს, რომ აფხაზეთი და ცხინვალი აქ შემოვლენ, მაგრამ როცა უნდათ, მაშინ გავლენ. რაღაც პერიოდის განმავლობაში ისინი დატოვებენ საქართველოს. ამის შემდეგ მათ მსოფლიო სულ სხვა თვალით შეხედავს და მოხდება კიდევაც მათი აღიარება. როგორც ჩანს, ეს სააკაშვილსაც უნდა. ამიტომაც ექცევა ის ხიზნებს ასე. ყველაფერს აკეთებს, რომ მათ დაავიწყდეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო. სააკაშვილმა მთელი თავისი პოლიტიკა სიცრუეზე ააგო. მისი ტელევიზიების გადამკიდე მსოფლიოში არავის არ სჯერა, რომ საქართველოში ხალხი მძიმედ ცხოვრობს. მისი ტყუილები ზოგჯერ აშკარაც ხდება. დღეს ის გადაყოლილია ბათუმზე. გვიყვებიან ზღაპრებს, რომ იქ ალმშენებლობაა. ვინც იქ ერთხელ ჩავიდა, მეორედ აღარ ჩავა.

***— რატომ აღარ ჩავა?***

— იმიტომ, რომ ყველაფერი ტყუილია, რასაც ეუბნებიან ხალხს. ბათუმი არასდროს არ იქნება დიდი საკურორტო ქალაქი. იქ ხალხი შეიძლება ჩავიდეს ფულის გასათეთრებლად და ნარკოტიკებისთვის.

***— რა შუაშია ბათუმთან ნარკოტიკები?***

— ბათუმი და აჭარა ეს არის ნარკობიზნესის ტრასა. აჭარა გახდა შავი ფულის გათეთრების ადგილი.

***— რითი ამტკიცებთ, რომ ეს ასეა.***

— კაზინოები არის ამის მაჩვენებელი. ამერიკაში კაზინოები იმიტომ აიკრძალა, რომ შავი ფულის მოძრაობა შეეჩერებინათ. ამიტომ მიიღო ეს გადაწყვეტილება რუსეთმა, თურქეთმა და აზერბაიჯანმა. საქართველოში ეკონომიკა არ არსებობს. შავ ფულზე ცხოვრობს მთელი ეს ქვეყანა. ეს ღუპავს საქართველოს. ვინც კი იყო ბათუმში, ამბობენ, იქ მეორედ ჩამსვლელები არა ვართო. მე ვნახე რამდენიმე უცხოელი, რომლებიც ახალ წელს ბათუმში შეხვდნენ. ისინი გაოგნებულები იყვნენ. მათი თქმით, ასეთი ფუფუნების უფლება საკუთარ თავს პარიზმაც კი არ მისცა. საქართველოში კი მისცეს ამის უფლება. ეს არის საშინელება. საშინელებაა ის, რომ ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს უცხოეთში წასული ნათესავები ინახავენ. ამ ადამიანებს თავიანთი მშობლები მიტოვებული ჰყავთ და იქ სხვის მშობლებს უვლიან. ეს ადამიანები საკუთარი ნათესავების დაკრძალვაზე ვერ ჩამოდიან. სააკაშვილი გამოდის და არარსებული მიღწევებით ტრაბახობს. სირცხვილია, სირცხვილია, რომ ხალხს ამისი სჯერა. ჩვენს ხალხს გონების თვალი დახუჭული აქვს. ამ რამდენიმე ხნის წინ ხიზნებმა პარლამენტის შენობასთან აქცია გამართეს. ისინი დევნილთა მინისტრთანაც ითხოვდნენ შეხვედრას. ის ვერავინ ვერ იპოვა. მერე გაირკვა, რომ ის სახუმარო გადაცემაში იყო მისული ჩაწერაზე. ეს ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. ეს ჩვენი მოსახლეობის ბრალიც არის.



**მო რაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი ხელისუფლების საქმიანობით, როგორც ყოველთვის, უკმაყოფილოა. მისი მტკიცებით, ხელისუფლებამ აჭარა საეჭვო რეპუტაციის რეგიონად აქცია. „თეთრების“ ლიდერი შიშობს, რომ თუ რამე არ შეიცვალა, ევროპა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს აღიარებს. ვლადიკავკაზში ყოფნისას რუსეთის ხელისუფლების ერთი განზრახვის შესახებაც შეიტყო. ამ განზრახვაზე თემურ შაშიაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**



# ოპოზიცია ერთიანი არ არის!

## პარტიები ერთმანეთს სახელს არ უნდა უტეხდნენ

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ „მემარჯვენე“ მანანა ნაჭყებიასთან

***— ქალბატონო მანანა, რას იტყვით კომპრომატების ომზე, რომელიც ოპოზიციის ნაწილშია, როგორია თქვენი შეფასება?***

— ძალიან ნეგატიურია ჩვენი შეფასება. ეს, რა თქმა უნდა, ეხება კონკრეტულ პარტიებს და კონკრეტულ ადამიანებს, მაგრამ გვინდა თუ არა, საბოლოოდ მთლიანად ოპოზიციაში გადაიზარდა. ამიტომ ერთადერთი, ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვისურვოთ, ბოლომდე გაირკვეს ამ დავასა და ჭიდილში ვის მხარეს არის სიმართლე. ჩვენ მხოლოდ ეს გვინდა, ამ პროცესში არ ვერევით, რა, „ახალი მემარჯვენეები“ არ ვიყავით ეროვნულ საბჭოში, არ ვმონაწილეობდით ეროვნული საბჭოს საქმიანობაში იმ დროს, როდესაც ეს მოვლენები ხდებოდა? ამიტომ ჩვენი მხრიდან სხვა შეფასება არასწორი იქნება. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ველით იმას, რომ გაირკვეს, ვინ არის მტყუან-მართალი და წერტილი დაესმება ამ პროცესს.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ ამით ხალხში ნიჰილიზმია და მთლიანად ჩრდილი მიადგა ოპოზიციას?***

— რა თქმა უნდა. მართალია, ეს არანაირად არ ეხება „ახალ მემარჯვენეებს“, მაგრამ ეს მთლიანობაში ოპოზიციის დისკრედიტაციას ახდენს. ადამიანები, სამწუხაროდ, ნაკლებად იხსენებენ, ვინ სად იყო იმ დროს, ვინ რას აკეთებს. ბოლოდროინდელი ხელისუფლების პოლიტიკა მიმართული იყო იქეთკენ, რომ ოპოზიცია საზოგადოებას აღექვა არა როგორც რეალურად არის, სხვადასხვა მიმართულების, სხვადასხვა ვექტორის მქონე, იდეოლოგიის და მსოფლმხედველობის, არამედ ერთიანი. აქედან გამომდინარე, ის, რაც ახდენს სხვა ოპოზიციურ-პოლიტიკური პარტიების დისკრედიტაციას, ძალაუნებურად გადმოდის ჩვენზეც, რაც, ბუნებრივია, სასიამოვნო არ არის და ცუდია ზოგადად ოპოზიციის იმიჯისთვის.



***— რა პოლიტიკურ მოვლენას გამოყოფდით, რომელიც გასულ წელს მოხდა?***

— პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ადგილობრივი თვითმმართველობის წელი, ჩვენთვის, „ახალი მემარჯვენეებისთვის“ და პირადად ჩემთვისაც ეს უფრო იყო კონსტიტუციის ცვლილების წელი. რა თქმა უნდა, ჩვენ ნეგატიურად ვაფასებთ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რადგან არათუ არ მოსპო კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა ხელისუფლების შტოებს შორის დისბალანსი, არამედ პირიქით, უფრო დააკნინა პარლამენტის როლი. უფრო წინა პლანზე წამოსწია პრემიერ-მინისტრის ფიგურა. პარლამენტი ისედაც უუფლებო ორგანო იყო და ძალიან მაღალ რანგში განიხილებოდა ამ იერარქიაში. ამ საკონსტიტუციო ცვლილებებმა კიდევ უფრო დაამძიმა პარლამენტის მდგომარეობა. ამიტომ, სამწუხაროდ, ამ კონსტიტუციას მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიურად ვაფასებთ. რაც შეეხება გასული წლის დადებით მომენტებს, რაც ალბათ იყო.

***— რას გამოყოფდით?***

— ომის შემდეგ გარკვეული სტაბილიზაცია შეინიშნებოდა ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ეს მოხერხდა საერთაშორისო დახმარებით, მაგრამ ასე თუ ისე, ფინანსური კრიზისიდან საქართველო შედარებით დაუზიანებლად გამოვიდა, მაგრამ ეს აბსოლუტურად არ ნიშნავს, რომ ჩვენ უკეთესი მომავალი წელი გველის.

***— როგორი წელი წარმოგიდგენიათ პოლიტიკური თვალსაზრისით?***

— პოლიტიკური ვითარების პროგნოზირება რთულია. მთელი სირთულე ოპოზიციის მდგომარეობს იმაში, რომ ამ ქვეყანაში ძალიან რთულია პროგნოზები გააკეთო, რადგან ჩვენ არაპროგნოზირებადი ხელისუფლება გვყავს. არაპროგნოზირებადი პრეზიდენტი, რომელიც მოულოდნელად იღებს გადაწყვეტილებებს, უცვლის პირობებს ბიზნესმენებს, პოლიტიკური სპექტრის გარკვეულ მოთამაშეებს. უმადური საქმეა პროგნოზი პოლიტიკაში, მით უმეტეს, ქართულ პოლიტიკაში, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ვისურვებდი პოლიტიკურ პარტიებს მიეცეთ საშუალება, რომ არა ცაიტნოტურ რეჟიმში, არამედ როგორც ეს არის მიღებული, ნორმალურ, დემოკრატიულ სახელმწიფოებში ემზადონ არჩევნებისთვის; მოახერხონ არა მხოლოდ რეაქციული პიარი, ხელისუფლების მიერ ნასროლ ბრალდებებზე, ხელისუფლების მიერ ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართულ პიარზე რეაქციული პიარის დაპირისპირება, არამედ თვითონ დაგეგმონ პროაქტიური პიარი. თვითონ მოახერხონ, რომ საზოგადოებას შესთავაზონ თავიანთი ხედვა ქვეყნის მომავალზე, პოლიტიკურ სისტემაზე. ზოგადად იმ ამომრჩეველს, რომელიც ამა თუ იმ პარტიის ამომრჩეველია, თავიანთი ხედვა დაანახონ. სამწუხაროდ, ჩვენ არჩევნების ჩატარება ყოველთვის ცაიტნოტურ ვითარებაში გვიწევდა. გვიწევდა არასასურველ საარჩევნო გარემოში საქმიანობა. აქედან გამომდინარე, სრულფასოვან წინასაარჩევნო კამპანიას ვერასდროს ვატარებდით. ასევე კონსტიტუციაში დარჩა პრინციპი 75 პროპორციული და 75 მაჟორიტარული სისტემის. ეს სერიოზულად უშლის ხელს ჩვენს ქვეყანას თუნდაც დემოკრატიულად განვითარების თვალსაზრისით. ეს უნდა შეიცვალოს ე.წ. რვიანის ფორმატში, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ხელისუფლებასთან ერთად საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება. ვისურვებდი, რომ ყველაზე თვალსაჩინო მოვლენა გახდეს ხელისუფლების და ოპოზიციის გულწრფელი თანამშრომლობა იმისათვის, რომ მართლაც შეიქმნას ისეთი საარჩევნო გარემო, როდესაც არც ერთ მხარეს არ ექნება დასამტკიცებელი, რომ მან რეალურად მოიპოვა გამარჯვება და ოპოზიციას არ ექნება სათქმელი, რომ არჩევნები გაყალბდა. ან ყველაფერი ისე ჩატარდა, რომ სამართლიანი და დემოკრატიული არჩევანის საშუალება ჰქონოდა მოსახლეობას. მე ვფიქრობ, რომ ახლა მიმდინარეობს სერიოზული პროცესი ოპოზიციის გადაჯგუფების. იკვეთება ოპოზიციურ-პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილებას ხედავენ მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების გზით, რაც არ უნდა რთული იყოს ეს გზა, ჩვენ უნდა დავარწმუნოთ საზოგადოება, რომ სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ბერკეტი საზოგადოების ხელშია. ეს უნდა იყოს მთავარი მამოძრავებელი იმ პარტიებისთვის, ასე გვესახება ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის მომავალი. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ისტორიაში ერთხელ მაინც ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე ჩატარებული არჩევნები იყოს სამართლიანი. მეორე მხრივ, ალბათ არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც ვერ ხედავენ მომავალს ამ გზაში, ესეც არის მათი უფლება. პოლიტიკა შესაძლებლობების ხელოვნებაა. ჩვენ მიგვაჩნია ამ გზით სიარული შესაძლებლად, ზოგიერთს სხვა გზით, მომხრე ყველას ეყოლება, მაგრამ ყოველგვარი ზედმეტი დაძაბულობის და ისტერიის გარეშე უნდა ხდებოდეს. ყველა პოლიტიკურმა პარტიამ ურთიერთბრალდების გარეშე უნდა მოახერხოს, რომ თავის გზით სისწორეში დაარწმუნოს ამომრჩეველი. რაც შეეხება ხელისუფლებას, ხელისუფლებამ თავი უნდა დაანებოს ილუზორული ფონის შექმნას, რომ თითქოს საქართველოსთვის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი ევროკავშირში, ნატოში გაწევრიანების გზაზე არის არა რაიმე გარე ფაქტორი, ოპოზიცია ან საზოგადოება, არამედ თვითონ ხელისუფლების მცდელობა, რომ ეს ქვეყანა არ განვითარდეს დემოკრატიული გზით. ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ დემოკრატიის განვითარება, თავისუფალი არჩევნები, ხელისუფლების შტოთა ბალანსი, თავისუფალი მედია, ეს არის ის გზა, რომელიც მიგვიყვანს ევროპამდე, ჩრდილო ატლანტიკურ სტრუქტურებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო ჰიბრიდული დემოკრატიის სახელმწიფოდ დარჩება.

# საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა დამარცხებისთვის არის განწირული

## სახალხო კრება გასული წლით კმაყოფილია

შორენა გონგლაძე

**ლევან გაჩეჩილაძესთან ნინო ბურჯანაძის დაპირისპირების გამო სახალხო კრებას რამდენიმე პოლიტიკური ძალა განუდგა. ეს კრების ინიციატორებს არ მოეწონათ, თუმცა, იხტიბარი არ გაუტეხიათ. ყველაფრის მიუხედავად, ისინი მაინც კმაყოფილნი არიან. გასული წლის მოღვაწეობა მათ საგანგებო განცხადებით შეაფასეს.**

— 2010 წელი სწორედ იმით იყო უმნიშვნელოვანესი, რომ „სახალხო კრების“ იდეას, რომელიც სამშობლოს გადასარჩენად და ჩვენი ხალხის ღირსეული მომავლის უზრუნველსაყოფად წარმოიშვა, ხორცი შეესხა. 25 ნოემბერს სახალხო კრება დაიბადა, დაიბადა რეალური ძალა; ეს არის ძალა, რომელსაც ვერაფერი აღუდგება წინ. მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ადამიანებს შეუძლიათ სამშობლოზე ზრუნვა, მხოლოდ მათ იციან როგორ შეინარჩუნონ მამული, ენა, როგორ იყვნენ ღვთისმოშიშნი. ამ ხალხს შეუძლია პატივი სცეს წარსულს, ქვეყნის ისტორიას, ადათს, ტრადიციებს, მათ შეუძლიათ შექმნან ისეთი მომავალი, როლის საძირკველიც მყარი და ძლიერი იქნება. რა თქმა უნდა, ხალხის ძალას ებრძვიან, უქმნიან სირთულეებს! თუმცა ყველამ გვინდა იცოდეს, რომ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა დამარცხებისთვის არის განწირული, — აცხადებენ კრების წარმომადგენლები.





ისინი პირობას დებენ, რომ კრება ყველა არსებულ სირთულეს გადალახავს. მათი თქმით, ის ბირთვი, რომელმაც სული შთაბერა სახალხო კრებასიმისთვის, რომ 25 ნოემბერს კრება შემდგარიყო, დაწყებულ საქმეს ხალხთან ერთად ბოლომდე მიიყვანს! ჩვენ არასოდეს ვუღალატებთ ღირებულებებსა და პრინციპებს, ჩვენ არ ვუღალატებთ ასიათასობით ადამიანის ნდობას და სახალხო კრების მიერ დასახულ მიზანს აუცილებლად აღვასრულებთ! ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ კრების კარი ღიაა ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მზად არის რეალურად იბრძოლოს ქვეყნის მომავლისთვის. კრება მუშაობს მთელი დატვირთვით. 2011 წლის იანვარში დასრულდება ფორმირება და აქტიურ ფუნქციონირებას დაიწყებს სახალხო კრების თბილისის რაიონული კომიტეტები, — აღნიშნავენ კრების წარმომადგენლები.

მათი თქმით, ამას მოჰყვება უწყვეტ რეჟიმში მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგიონული კომიტეტების ამოქმედება.

— სწორედ ამ კომიტეტების დაუღალავი, მიზანმიმართული ქმედებებით აღსრულდება სახალხო კრების გადაწყვეტილებები და ქვეყანაში შექმნება რეალობა, რომელიც უმთავრეს მიზნამდე მიგვიყვანს! ჩვენს ქვეყანაში აუცილებლად ჩატარდება თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები, — გვპირდება სახალხო კრება.

კრების ინიციატორების განცხადებით საქართველოს აუცილებლად ეყოლება ღირსეული ხელისუფლება. ჩვენ კი — ვიცხოვრებთ ღირსეულ ქვეყანაში.

### ბავშვის გაუფრთხილებლობით მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს

2011 წლის პირველ იანვარს თბილისის შს მთავარი სამმართველოს და გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 52 წლის გიორგი ლომთათიძე, რომელმაც 31 დეკემბერს , ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით მეხუთე სართულის აივნიდან განახორციელა სამი გასროლა, მისი კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღიდან, რის შედეგადაც გულ-მკერდის არეში დაჭრა იმავე კორპუსში, მეცხრე სართულის აივანზე მდგარი, 12 წლის გიორგი ჭყოიძე, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა.ამოღებულია დანაშაულის იარაღი.

ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით.

მედიანიუსი

### საგანგებო სიტუაციების სამსახური და სასწრაფო დახმარება გაერთიანდა

3 იანვრიდან საგანგებო სიტუაციებისა (011) და სასწრაფო დახმარების (033) სამსახურები საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში გაერთიანდა. ორივე სამსახური ერთ შენობაში განთავსდება და საერთო ხელმძღვანელი ეყოლება. სამსახურების ახალი ხემძღვანელი თემურ გიორგაძე იქნება, რომელიც ამ დრომდე საგანგებო სიტუაციების სამსახურს ხელმძღვანელობდა.

ცვლილების მიზეზად ორივე სამსახურის ოპერატიულობის გაზრდა სახელდება. სამაშველო სამსახურში ან სასწრაფოში დახმარებაში შესული ყველა ზარი, ორივე სამსახურში ერთდროულად დაფიქსირდება. იმ შემთხვევაში, თუ სამაშველო, სახანძრო ან სასწრაფო დახმარების ბრიგადა ერთდროულად იქნება საჭირო სამივე სამსახურის ბრიგადები დანიშნულების ადგილზე ოპერატიულად გავლენ.

— ტელეფონის ნომრები ორივე სამსახურში დროებით უცვლელი რჩება, ხუთი თვის შემდეგ კი შეიცვლება და საერთო ნომერი, სავარაუდოდ, 112 იქნება. როცა ზარების მართვის ახალი ცენტრი ექსპლუატაციაში შევა. გაერთიანების შემდეგ ორივე სამსახურის საქმიანობა უფრო ოპერატიული გახდება, — განაცხადა გაერთიანებული სამსახურების ხელმძღვანელმა თემურ გიორგაძემ.

რაც შეეხება ერთიანი მართვის ცენტრს, ის საბურთალო-ვაშლიჯვარის დამაკავშირებელ ახალ მაგისტრალზე შენდება. მშენებლობის დასრულების შემდეგ სამსახურები სწორედ ამ შენობაში გადავლენ.

მედიანიუსი

# ხელისუფლებამ წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო

შორენა კოწოწაშვილი

**ბურჯანაძე-გაჩეჩილაძის სკანდალი თანდათან ახალ ფაზაში შედის. გაჩეჩილაძე მტკიცებულებებს ითხოვს, ბურჯანაძე უკან არ იხევს და თან ეროვნული ფორუმისა და ეკა ბესელიას მისამართით კრიტიკას არ იშურებს. სწორედ ეს ორი სუბიექტი გაემიჯნა ბიწაძის სკანდალური ინფორმაციის შემდეგ სახალხო კრებას.**

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, არასამთავრობო სექტორმა მოითხოვა, სახალხო ქომაგმა ეკა ბესელიამ გამოიძიოს სააკაშვილ-გაჩეჩილაძის შეხვედრისა და პოლიტიკური ვაჭრობის ფაქტი. ქალთა პარტიის ლიდერი გუგული მაღრაძე მიიჩნევს, რომ ასეთ გამოძიებას, საეჭვოა, რაიმე აზრი ჰქონდეს და თან ობიექტური იყოს.

— რა ფაქტებზე დაყრდნობით უნდა მოიძიოს ბესელიამ ან ვინმე სხვამ, მართლაც მოხდა თუ არა სააკაშვილ-გაჩეჩილაძეს შორის პოლიტიკური ვაჭრობა. რა მტკიცებულებები უნდა დადონ? მაშინ ხელისუფლებასთან უნდა იყო ახლოს, რომ დოკუმენტები მოგცეს. ეს კი უფრო ხელისუფლების თამაშში ჩართვა იქნება, — აცხადებს გუგული მაღრაძე და ეჭვობს, რომ ამ ფაქტის ობიექტურად გამოძიება მოხერხდეს.

რა ხდება ხელისუფლების შიგნით და რისთვის ემზადება ხელისუფლება იმ დროს, როცა ოპოზიცია ერთმანეთს შავ პიარს უგორებს. ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს გუგული მაღრაძესთან.

***— ქალბატონო გუგული, ოპოზიციის ნაწილმა გასული წელი ნაწილობრივ წარმატებულად შეაფასა. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— მე ვერ ვიტყოდი, რომ წელი ძალიან ჩავარდნილი იყო. წელი ჩავარდებოდა, თუ არანაირი აქტივობა არ იქნებოდა. გარკვეული პოლიტიკური ძალებისთვის შარშანდელი ადგილობრივი არჩევნები იყო საშუალება, რომ თავი დაემკვიდრებინათ. აქ იგივე ირაკლი ალასანიას ვგულისხმობ. მეორე ადგილი არჩევნებში იმ გაერთიანებისთვის, რომელიც სულ ნახევარწლიანი იყო, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის აქტივობა არ ჩამკვდარა, რომ მოსახლეობის 30-40% ოპოზიციას უჭერს მხარს იმდენად, რომ არჩევნებზე გამოდის.



თუ არ ჩავთვლით კიდევ იმ ნაწილს, რომელსაც საპროტესტო მუხტი კი აქვს, მაგრამ ჯერჯერობით სახლში ზის და რაღაც-რაღაცების გამო ვერ გამოხატავენ. ამიტომ, რაღაც მოძრაობები არის. არის მოსახლეობისა და ოპოზიციის მხრიდან სოციალურ საკითხებზე გამოსვლები. ამიტომ, ვერ ვიტყვი, რომ ოპოზიციური მოძრაობა არ არის. ცხადია, ამას ახლდა გარკვეული სკანდალები ოპოზიციაში წლის ბოლოს, მაგრამ, ესეც იმის მაჩვენებელია, რომ ხელისუფლებისთვის სულ ერთი არ არის, ოპოზიციაში რა ხდება. ოპოზიციას ხელისუფლება მაინც მიიჩნევს საკმაოდ მნიშვნელოვან ძალად. ასე რომ არ იყოს, ხელისუფლება უფრო დამშვიდებული იქნებოდა და მსგავს რაღაცებს ხელს არ შეუწყობდა, იმიტომ რომ, ასეთი რაღაცები როცა მოდის, იქ ხელისუფლების ხელი რაღაცნაირად ურევია.

***— ანუ ბადრი ბიწაძის მიერ გავრცელებულ სკანდალურ ინფორმაციებში ხელისუფლების კვალი იკვეთება?***

— ხელისუფლების ხელი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ურევია, იმიტომ რომ ზუსტად იმ დროს დაიწყო ურთიერთბრალდებები, როცა ოპოზიციური სპექტრი რაღაცნაირად აქეთ ჯგუფდებოდა. აქეთ ქართული პარტია, იქით ალასანია და ის ჯგუფი, რომელიც არჩევნებზე აკეთებს აქცენტს. ასე რომ, ყველა ეს პოლიტიკური მოძრაობები იწყებდნენ მუშაობას თავიანთი ორგანიზაციული სტრუქტურებისთვის, თავიანთი ადგილისთვის. ამ დროს, როცა შემოდიან რაღაც ბრალდებებით, რა თქმა უნდა, აქ ხელისუფლების ხელი ურევია. ამიტომ კეთდება განცხადებები, რომ ოპოზიციისა და მოსახლეობის მთელი ყურადღება ამ სკანდალზე გადავიდეს და ნაკლებად მიექცეს ყურადღება იმ კონსტრუქციულ და ორგანიზაციულ საკითხებს, რომლებიც ყველა პარტიას სჭირდება იმისთვის, რაც, არ არის გამორიცხული, წელსვე დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები, იმიტომ რომ ხელისუფლება ისეთ ქმედებებს სჩადის, როგორსაც წინასაარჩევნოდ მიმართავს ხოლმე. საქმე ისაა, რომ ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში უფრო და უფრო იძაბება. ხელისუფლებას ურჩევნია, მანამდე ჩაატაროს, ჩემი აზრით, საპარლამენტო არჩევნები, რათა უფრო მეტი ხმები ჰქონდეს პარლამენტში, ვიდრე იმ დროს ჩაატაროს, როდესაც სრულიად დაკარგული ექნება მოსახლეობას ნდობა ხელისუფლების მიმართ.

***— ხელისუფლების მხრიდან წინასაარჩევნო ნაბიჯები გიგი უგულავას ნაბიჯებში იკვეთება?***

— საერთოდ, არა მხოლოდ უგულავას ნაბიჯებში. იგივე, ვთქვათ, ის პროექტები, რომლებსაც პრეზიდენტი აცხადებს, აქ ეს გაკეთდება, იქ — ეს. ეს ყველაფერი იქმნება იმისთვის, რომ მერე თქვან, ჩვენ ამდენი კარგი საქმე წამოვიწყეთო. შეიძლება, ეს საქმეები ჯერ არ დამთავრდეს, მაგრამ წინასაარჩევნოდ შეიძლება კარგად დაპიარდეს. წინასაარჩევნოდ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ რაღაც არასამ-

## რისთვის ემზადება უგულავა

თავრობოები იქმნება, მედიაში ხდება გადანაწილება, იგივე პრესა.გე-ს ფაქტი. ხელისუფლების ინტერესებშია, უფრო მეტად მოხდეს გაკონტროლება ისეთი საინფორმაციო არხებისა, სადაც შეიძლება ხელისუფლებისთვის არასასურველი ინფორმაცია მიდიოდეს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ დასავლეთიდან ძირითადად მოვა მიზნობრივი დახმარება გრანტების სახით, მედიისთვის და სხვა. ამიტომ ხელისუფლება ცდილობს, ბევრი იყოს მისიანი ამ მედიაში და მათ მიიღონ ეს დახმარება, შეიძლება პირდაპირ და შეიძლება — არაპირდაპირ, იმ გაგებით, რომ შეიძლება დამოუკიდებელი მედიასაშუალება ერქვას, მაგრამ ხელისუფლების საქმეს აკეთებდეს. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს იმას, რომ ხელისუფლებამ ფაქტობრივად დაიწყო წინასაარჩევნო რეჟიმში გადასვლა. არჩევნები გინდაც 2012 წელს იყოს, მაინც ხელისუფლებას წესი აქვს, რომ ძალიან ადრიანად იწყებს ხოლმე მუშაობას, იმიტომ რომ ისეთი ტიპის გაყალბებას, რასაც ადრე მივეჩვიეთ, როგორიცაა, მაგალითად, ყუთების დატაცება, იარაღით თავზე დადგომა და ა.შ., უფრო ძნელი განსახორციელებელი იქნება. ამიტომ ხელისუფლებას სჭირდება, ისეთი ნაბიჯები გადადგას, ჰყავდეს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც აქტიურია არჩევნებზე და თან დაშინებულია დაჭერებითა და სახელისუფლებო ბიზნეს-ტერორით. ახალი ქსელი რომ გააკეთეს, „ნუგეში“, ერთმა ნაცნობმა პენსიონერმა დაითვალა და აღმოჩნდა, რომ თვეში იძლევა დაახლოებით 15-20 ლარის ეკონომიას. პარალელურად ეს ქსელი გააკონტროლებს იმ მარკეტებსა და პატარა ჯიხურებს, სადაც ადამიანები ორ კაპიკს შოულობენ. ეს „ნუგეში“ თბილისის მერიისაა და მოსახლეობის ეს ნაწილიც გაკონტროლდება, რათა დამოუკიდებელი შემოსავალი არ ჰქონდეს. ეს ყველაფერ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება წინასაარჩევნოდ გარკვეულ აქტივობებს იწყებს.



***— ოპოზიციის ნაწილი ხელისუფლებაში ორ დაჯგუფებას გამოყოფს. თქვენი აზრით, ხელისუფლება ერთიანობას შეინარჩუნებს საპარლამენტო არჩევნებისთვის?***

— დღევანდელი ხელისუფლების ძირითადი პრინციპია, მოახდინოს ხელისუფლების გადაცემა, მაგრამ შეინარჩუნოს ძალაუფლება. ასე რომ, შესაძლოა ზუსტად ის ფიგურები არ იყვნენ წარმოდგენილი ხელისუფლებაში, მაგრამ, ისეთი ფიგურები უნდა იყვნენ წარმოდგენილი, რომ ძალაუფლება მმართველმა გუნდმა ხელიდან არ გაუშვას. ამისთვის სხვადასხვა კომბინაცია იქმნება. გამორიცხული არ არის, შეიქმნას ახალი ოპოზიციური ძალა ან ახალის გაძლიერება მოხდეს, რომელიც, ბევრს მიაჩნია, რომ ოპოზიციაა, მაგრამ ხელისუფლების თამაშს თამაშობდეს. შეიძლება, თვით ხელისუფლების შიგნითაც გამოეყონ ვიღაცები, რათა არჩევნებში უფრო მეტი ხმა მოიპოვონ. მთავარი პრინციპი, ჩემი აზრით, ის არის, რომ მოხდეს ჩანაცვლება, თითქოს ახალი სახეები გამოჩნდნენ, მაგრამ ისევ ამ ხელისუფლებამ შეინარჩუნოს ძალაუფლება. ხელისუფლების მთელი ძალისხმევა მომავალ არჩევნებამდე აქეთკენ იქნება მიმართული.

***— როგორ ფიქრობთ, ბურჯანაძე-გაჩეჩილაძის სკანდალიდან რომელი ლიდერი უფრო მეტად დაზარალდება?***

— საერთოდ, ყველა ზარალდება, როცა მსგავსი ინფორმაციები ვრცელდება და მთლიანად ოპოზიცია ზარალდება, მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლება, ადამიანების ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ ინფორმაციები გაჩნდეს. ჩემი აზრით, ორივე მხარე იმდენად გონიერი უნდა იყოს, რომ ამ დაპირისპირებით ხელისუფლება არ ასარგებლოს.

***— გამართლებულად მიგაჩნიათ, რომ ეროვნული ფორუმი სახალხო კრებას გაემიჯნა და ეკა ბესელიამაც დისტანცირება მოახდინა აღმასრულებელი საბჭოდან?***

— ეროვნული ფორუმი კრებას ბოლოს შეუერთდა. ფორუმი სულ ცდილობს, თავისი დამოუკიდებელი ხაზი აჩვენოს. მოსახლეობის შესაფასებელია, მოსწონს თუ არა ფორუმის ეს ნაბიჯები. ეკა ბესელიაზე რა გითხრათ. ბესელია და ბურჯანაძე თავიდანვე ერთად იყვნენ სახალხო კრებაში. ასეთი გამიჯვნები, მიმაჩნია, რომ პოლიტიკურ ერთგულებაზე არ მეტყველებს. ინდივიდუალური სახის შენარჩუნებისათვის, ალბათ, ეს პოლიტიკოსებს სჭირდებათ.

## დასუფთავების გადასახადი 2,50 ლარი გახდა

2011 წლის პირველი იანვრიდან დასუფთავების გადასახადი 1,20 ლარის ნაცვლად, 2,50 ლარი გახდა.

გადაწყვეტილება 2010 წლის 27 დეკემბრის თბილისის საკრებულოის სხდომაზე მიიღეს.

როგორც გასულ წელს საკრებულოს სხდომის დაწყებამდე იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ნინო თევდორაძემ განაცხადა 2011 წელს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა იგეგმება და დასუფთავებაზე გადასახადის ზრდაც ამიტომ მოხდა, რადგან არსებული გადასახადი არ ასახავდა რეალურ დანახარჯებს სახელმწიფოს მხრიდან.

**მედიანიუსი**

## დედოფლისწყაროში 80 წლის გიორგი მჭედლიშვილის გვამი იპოვეს

— დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქუჩაზე 80 წლის გიორგი მჭედლიშვილის გვამი იპოვეს.ამ დროისათვის უცნობია, მამაკაცი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა თუ არა, — აცნობეს „მედიანიუსს“ რადიო „ჰერეთიდან“.

— მჭედლიშვილს თავის არეში დაზიანება აღენიშნებოდა, გვამი მაშინვე პროზექტურაში გადავიყვანეთ. ზოგადად დედოფლისწყაროში სადღესასწაულო დღეებში ალკოჰოლით მოწამვლის შემთხვევები ხშირი იყო, — განაცხადა სასწრაფო დახმარების ხელმძღვანელმა ხათუნა ზურიკაშვილმა.

შსს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს ინფორმაციით, მოხუცი სუპერმარკეტის კიბიდან გადავარდა, თავი დაარტყა და სანიაღვრე არხში ჩავარდა. მომხდარზე წინასწარი გამოძიება დაწყებულია.

**მედიანიუსი**

## ეგვიპტის ქალაქებში ქრისტიანებსა და პოლიციას შორის შეტაკებები მიმდინარეობს

ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროსა და ალექსანდრიის ქუჩებში ქრისტიან-კოპტებსა და პოლიციას შორის შეტაკებები უკვე მეორე დღეა მიმდინარეობს. დემონსტრანტები ეგვიპტის ხელისუფლებას ქვეყანაში მცხოვრები ქრისტიანების დაცვას სთხოვენ.

როგორც უცხოური მედიასაშუალებები იუწყებიან, დემონსტრანტებმა ეგვიპტის დედაქალაქსა და სიდიდით მეორე ქალაქ ალექსანდრიაში ქუჩები გადაკეტეს, ავტომობილების ფანჯრის შუშები და მაღაზიის ვიტრინები ჩაამტვრიეს. არსებული ინფორმაციით, პოლიციამ მომიტინგეების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. შეგახსენებთ, რომ 31 დეკემბერს ალექსანდრიის ქრისტიანულ ტაძარში აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც 21 ადამიანი დაიღუპა. მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არცერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია.

**მედიანიუსი**

## სტატისტიკური მაჩვენებლების გავრცელების ახალი სატარიფო გეგმა ამოქმედდა

2011 წლის 1 იანვრიდან სტატისტიკური მაჩვენებლების გავრცელების ახალი სატარიფო გეგმა ამოქმედდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭომ ეს გეგმა ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონის შესაბამისად დაამტკიცა.

სატარიფო გეგმა გულისხმობს სტატისტიკური სამუშაოების ფარგლებს გარეთ მომზადებული მონაცემებისათვის გარკვეული საფასურის დაწესებას ინფორმაციის მოცულობის, სირთულისა და მოსამზადებელი დროის ხანგრძლივობის გათვალისწინებით. რაც შეეხება ოფიციალურ სტატისტიკას, ის საქსტატის ვებგვერდზე კვლავინდებურად ყოველგვარი საფასურის გარეშე განთავსდება და ნებისმიერი მსურველისათვის ხელმისაწვდომი იქნება.

**მედიანიუსი**

## ზუგდიდში „ქართული პარტიის“ აქტივისტი დაჭრეს

ზუგდიდში გუშინ, დაუდგენელმა პირებმა, „ქართული პარტიის„ აქტივისტი დავით სორდია მუცლის არეში ცივი იარაღით დაჭრეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პარტიის პრესსამსახურიდან აცნობეს.

მათი ინფორმაციით, პარტიის რეგიონული ორგანიზაციის შეკრებისას, დავით სორდიამ ოფისი დროებით დატოვა და ქუჩაში გავიდა, სადაც მას, შელაპარაკების პროვოცირების დროს, დანით ჭრილობები მიაყენეს.

„ქართული პარტიის“ შეფასებით, ინციდენტი პოლიტიკური ხასიათისაა, რადგან პარტიის აქტივისტზე ფიზიკური ანგარიშსწორებით, დანაშაულის დამკვეთები და შემსრულებლები ქართული პარტიის„ ბრძოლისუნარიანობის შესუსტებას გეგმავდნენ.

— 20 იანვარს იგეგმება ქართული პარტიის„ ზუგდიდის საქალაქო ორგანიზაციის ოფისის გახსნა და ამდენად, სავარაუდოდ, ეს პროვოკაცია ხელისუფლების მხრიდან ამ ღონისძიების ჩაშლისკენ არის მიმართული, — აღნიშნულია პარტიის განცხადებაში.

„ქართული პარტია“ მომხდარის ობიექტურ გამოძიებას და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს.

**ინტერპრესნიუსი**

# დავით მაღრაძე ნობელის პრემიაზე წარადგინეს

ეკა ირემაშვილი



ქართველი პოეტი დავით მაღრაძე შვეიცარიულმა მხარემ ნობელის პრემიაზე წარადგინა. პოეტი საქართველოში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა და ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს დაუდასტურა, თუმცა დეტალებსა და იმ ორგანიზაციებზე დავით მაღრაძეს არ უსაუბრია, რომლებმაც მისი ნობელის პრემიაზე წარდგენა გადაწყვიტეს.

ნობელის პრემიაზე წარდგენამდე დავით მაღრაძემ ქართული პენცენტრის პრეზიდენტის თანამდებობა დატოვა, პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩაერთო და საზოგადოებასაც მეტი გამოცოცხლებისკენ მოუწოდა. პოეტი ქართულ პენცენტრს 1997 წლიდან ხელმძღვანელობდა. მან შესაბამისი წერილით მიმართა საერთაშორისო პენცენტრის პრეზიდენტს, ჯონ რალსტონ საულს და საერთაშორისო პენცენტრის საერთაშორისო მდივანს, იუჯინ შელგინს. პოეტმა საკუთარი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ქართული პენცენტრის უკანასკნელი განცხადების ტექსტზე, რომელიც მათ გაეგზავნათ, მასთან შეუთანხმებელი იყო და ხელმომწერთა შორის აღმოჩნდა მისი სახელი და გვარიც. გარდა ამისა, პოეტმა ქართული პენცენტრის პრეზიდენტის თანამდებობის დატოვების მიზეზად გადატვირთული გრაფიკი და მისი წიგნის პრეზენტაციები სტამბულში, ტრაბზონში, ჰელსინკში, ნიუ-იორკში, მოსკოვში, მილანში დაასახელა; დავით მაღრაძემ ისიც აღნიშნა, რომ წელს, ოქტომბერში საერთაშორისო ფესტივალი თბილისში უნდა გაიმართოს, ამ დროს კი იგი მიწვეულია მაკედონიაში პოეზიის ფესტივალზე. „გთხოვთ მიიღოთ ცნობად ჩემი გადაწყვეტილება ქართული პენცენტრის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ“, — ასე ასრულებდა თავის წერილს დავით მაღრაძე წერილში, რომელიც მან ჯონ რალსტონ საულს და იუჯინ შელგინს მისწერა.

დაგეგმილ პრეზენტაციებსა და საერთაშორისო პოეზიის ფესტივალებს ახლა ისიც დაემატა, რომ დავით მაღრაძე პრესტიჟული პრემიის ლიტერატურის ნომინაციაში რამდენიმე შვეიცარიულმა ორგანიზაციამ წარადგინა. როგორც პოეტმა აღნიშნა, დეტალებს საზოგადოებას ის მოგვიანებით შეატყობინებს.

# უნიკალური ძეგლები აღდგენილია

ეკა ირემაშვილი

**შიდა ქართლში უნიკალური ძეგლები აღდგენილია. სოფელ არბოს მეათე საუკუნის წმინდა გიორგის სახელობისა და სოფელ ტირძნისის მეთერთმეტე საუკუნის სამების ეკლესიები აღდგენილია. ჩატარებული სამუშაოები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკა ვაჩეიშვილმა და ამერიკის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა უკვე დაათვალიერეს. სარეაბილიტაციო სამუშაოები შეერთებული შტატების საელჩოსა და კულტურის დაცვის ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა.**

სოფელ ტირძნისის ეკლესია სოფლის მთავარი გზის პირას, მოვაკებული ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის სიღრმეში მდებარეობს. ძლიერ აზიდული პროპორციების მქონე ერთნავიანი ტაძარი ძირითადად სხვადასხვა ზომის რიყის ქვითაა ნაშენი, თუმცა კუთხეები, კარ-სარკმლები და თარო-ლავგარდანი კარგად თლილი მოღვინისფრო ტუფის კვადრებითაა გაწყობილი. ასეთივე ქვებია გამოყენებული ინტერიერის პილასტრებისთვის. ნაგებობა სრულიად მოკლებულია მხატვრულ-დეკორატიულ მორთულობას, ერთადერთი დეკორატიული ელემენტი ფრონტონების კეხზეა დასმული. ეკლესიას მხოლოდ ერთი, სამხრეთის ფასადის დასავლეთ კიდეში გაჭრილი ღრმატიმპანიანი შესასვლელი კარი აქვს. შიდა სივრცე ძალზე თხელი, წყვილი პილასტრითა და მათზე გადაყვანილი კამარის საბრჯენი თაღით ორ ტოლ ნაწილადაა გაყოფილი. თხელია საკურთხევლის მხრებიც და დასავლეთის კუთხის პილასტრიც, რომელიც ზოლად ასდევს კუთხეებს და კუთხის საბრჯენ თაღს ერთვის. კარის ღიობის გარდა შიდა სივრცე დამატებით სამი ვიწრო და მაღალი სარკმლებით ნათდება. ეკლესია გადახურულია კრამიტით. სახურავის წიბოებზე ეკლესიის მაკეტებია დადგმული.

არბოს წმინდა გიორგის ეკლესია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ არბოში, შუა სოფელში მდებარეობს. ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანია, ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვით. შესასვლელი დასავლეთიდან (კარიბჭიდან) და სამხრეთიდანაა. აფსიდში ერთი განიერი სარკმელი და ორი თაღოვანი ბრტყელი ნიშია. აფსიდი დარბაზის იატაკიდან ორი საფეხურითაა ამაღლებული. აფსიდის წინ ბემაა, სადაც ქვის სატრპეზო დგას. ბემას სამხრეთ კედელში გაჭრილი კარი სადიაკვნეში გადის. ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი — სამკვეთლოში. ორივე სათავსი მსგავსია. აღმოსავლეთის კედელში თითო სარკმელია, გრძივ კედლებში — ნიშები, ხოლო დასავლეთ კედელში გაჭრილი კარით ორივე სათავსი ეკლესიის დარბაზს უკავშირდება. სამკვეთლოს და სადიაკვნეს თავზე მცირე სათავსებია. ამ სათავსებში ასასვლელი აგურის კიბე გარე კედლებშია ჩატანებული. ეკლესიის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში, ზემოთ, სხვადასხვა სიმაღლეზე, ხუთ-ხუთი სარკმელია. გუმბათის ყელი ორ თავისუფლად მდგომ ჯვაროვანი კვეთის ბურჯსა და აფსიდის მხრებს ეყრდნობა. ყელი დაბალია, გადახურვა კი ბრტყელი. ფასადებზე გამოყოფილია ფრონტონით დასრულებული ძირითადი ნავი. სარკმლები მოჩარჩოებულია სადად, აგურის ერთსაფეხურიანი წყობით. საკურთხევლის სარკმელს ქვიშაქვის განიერი საპირე აქვს. კედლები დასრულებულია აგურის მრავალსაფეხურიანი ლავგარდნით. ეკლესია გადახურულია თუნუქით.

ეკლესიის დასავლეთ კედელს მთელ სიგრძეზე ეკვრის კარიბჭე, რომლის პირველი სართული სამი მონაკვეთისაგან შედგება: შუა — ეკლესიაში შესასვლელია, ხოლო გვერდებზე თაღებით გახსნილი, გეგმით მსგავსი, თითო სათავსია. სათავსების გარე კედლებში, შუაში ბუხარია. ბუხრის გვერდებზე, სწორკუთხა ნიშებში თითო მცირე სარკმელია გაჭრილი. ეკლესიის დასავლეთ კედელში ჩატანებული აგურიც კიბე კარიბჭეზე დაშენებულ სამრეკლოში და გვერდით სათავსების თავზე განლაგებულ ოთახებში ადის. სამრეკლო იარუსებიანია. პირველი იარუსი გეგმით კვადრატული დახურული სათავსია, რომლის დასავლეთ კედელში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მეორე იარუსი დასავლეთით თაღითაა გახსნილი. მესამე იარუსი ოთხივე მხარეს თაღებით იხსნება. სამრეკლოს ფანჩატური კი რვათაღიანი ღიობია. ფანჩატურს ბოლქვისებური გუმბათი აქვს.

აღმოსავლეთის სარკმელი მორთულია რელიეფური კომპოზიციით (რელიეფით იყო შემკობილი სამხრეთის ფასადის დასავლეთ სარკმელიც, თუმცა ამჟამად მარცხენა ზედა კუთხეში მხოლოდ ჩარჩო და ერთი რომბიღა მოსჩანს). სარკმლის თავზე ჩასმულ ერთიან, წვრილი ჩარჩოთი შემოზღუდულ ოთხკუთხა ქვაზე გაყვავილებული ჯვარია. მის მარჯვნივ კი ერთმანეთის თავზე ლომისა და ირმის პატარა ფიგურები, მარცხნივ მთელს სიმაღლეზე — გაფოთლილი რტოა, ხოლო რტოსა და ჯვრის ზედა მკლავს შორის დისკო.არბოს წმინდა გიორგის ეკლესია, მხატვრულ-სტილისტური ანალიზით, X საუკუნის მეორე ნახევარს არ სცდება. როგორც ჩანს, მისი მაშენებელი ხალხური წრიდან გამოსული და აღნიშნული ეპოქისთვის დამახასიათებელი საეკლესიო ხუროთმოძღვრების სიახლეებით კარგად გათვითცნობიერებული ოსტატია. სოფელ არბოს ღირსშესანიშნაობებს ასევე გვიანი შუასაუკუნეების წმინდა გიორგის დიდი გუმბათოვანი ეკლესია, ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი და ანტონ ფურცელაძის XIX საუკუნის საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს.

შიდა ქართლში მდებარე ეს ორი უნიკალური ტაძარი ახლა მთლიანად აღდგენილია და ადგილობრივი მცხოვრებლები ტაძრებში ღვთისმსახურების აღდგენას ელოდებიან.





მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.


# დღეს პატრიარქის დაბადების დღეა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვლადიკავკაზის 22-ე საშუალო სკოლა და ჩააბარა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი სწავლა განაგრძო მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. სასულიერო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი ირაკლი შიოლაშვილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით ბერად აღიკვეცა და სახელად წმიდა ილია წინასწარმეტყველის პატივსაცემად ილია ეწოდა. მალე იგი ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად, შემდეგ კი — მღვდელმონოზვნად. მღვდელ-მონოზონმა ილიამ მოსკოვის სასულიერო აკადემია დაამთავრა. მას სთხოვეს, გაეგრძელებინა სამეცნიერო მოღვაწეობა, მაგრამ სასულიერო კადრების სიმცირის გამო სამშობლოში დაბრუნდა და დაინიშნა ბათუმის საკათედრო ტაძარში მღვდელმსახურად. ერთგული მოღვაწეობისათვის იგი აღყვანილ იქნა იღუმენის, შემდეგ კი არქიმანდრიტის ხარისხში, 1963 წლის 26 აგვისტოს კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ეფრემ II-ის მიერ ხელდასხმულ იქნა შემოქმედის ეპისკოპოსად და დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. იგი იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის, იმ დროისათვის ერთადერთი სასულიერო სასწავლებლის, პირველი რექტორი.

ეპისკოპოსი ილია გადაყვანილ იქნა აფხაზეთის ეპარქიაში, შემდგომში აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. 1977 წლის 9 ნოემბერს კი უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით დადგინდა პატრიარქის მოსაყდრედ, ხოლო 1977 წლის 23 დეკემბერს არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. იმავე წლის 25 დეკემბერს მოხდა მისი ინტრონიზაცია. პატრიარქს მიეკუთვნა სახელი ილია II (ილია I საქართველოს ეკლესიას მართავდა 1600 წლის წინ 390-400წ). საქართველოს პატრიარქი იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი, დაჯილდოებულია მსოფლიოს საპატრიარქოს, ანტიოქიის, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, საქართველოს, საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის პატრიარქების, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და თითქმის ყველა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი. ნიუ-იორკის სასულიერო აკადემიამ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ეს ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა. 1997 წელს მისი უწმიდესობა კრეტის სასულიერო აკადემიამ თავის საპატიო წევრად აირჩია. ამ წელსვე იგი არჩეულ იქნა გაეროსთან არსებულ ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად. ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა ტიხონის საღვთისმეტყველო სემინარიამ ღვთისმეტყველების დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა.

1988 წელს უწმიდესისა და უნეტარესის თაოსნობით მცხეთის სასულიერო სემინარია გადმოტანილ იქნა თბილისში და დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიხსნა სასულიერო სასწავლებლები — ბათუმში, ახალციხესა და ქუთაისში სასულიერო სემინარიები, ხულოში სასულიერო სასწავლებელი და მასთან არსებული გიმნაზია, გიმნაზიები დაარსდა თბილისში, ბათუმში, ზესტაფონში. საუკუნეთა შემდეგ კვლავ აღდგა გელათის სასულიერო აკადემია და ეკლესიის ეგიდის ქვეშ მყოფი გელათის მეცნიერებათა აკადემია. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით თანამედროვე ქართულ ენაზე გამოიცა ბიბლია, საღვთისმეტყველო კრებულები, ბროშურები და წიგნები, ჟურნალები, სამი სახის კალენდარი, დაარსდა გაზეთები. მისი ინიციატივით საპატრიარქოსთან შეიქმნა ხუროთმოძღვრების ცენტრი, ხალხური რეწვის და მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილება, საგამომცემლო და სიწმიდეთა მოძიებისა და დაცვის ცენტრი, შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ დაწესებულებებთან ურთიერთობის განყოფილება, საგარეო და საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება, საინფორმაციო სამსახური, ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ცენტრი „ძლევაი“, ჰუმანიტარული სამსახური, მომლოცველობის სამსახური.

ილია მეორის საქართველოს პატრიარქად დადგინების შემდეგ საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა რიცხვი 15-დან 33-მდე გაიზარდა, მონასტრებისა — 53-მდე, სასულიერო პირთა — 1000-მდე. მოხდა კანონიზირება ახალი წმინდანებისა. აშენდა საქართველოში ყველაზე დიდი ეკლესიის — წმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარი.

2010 წლის 21 დეკემბრის სინოდის სხდომის გადაწყვეტილებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულატურა შემდეგნაირად განისაზღვრა: უწმიდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა.

ილია მეორის 78-ე დაბადების დღესთან დაკავშირებით 4 იანვარს ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში საიუბილეო საღამო გაიმართება. საიუბილეო საღამოს მისი უწმინდესობაც დაესწრება. საქართველოს პატრიარქს იუბილეს საგალობლებითა და კლასიკური ნაწარმოებების შესრულებით მიულოცავენ. მასში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი, კამერული ორკესტრი „საქართველოს სიმფონიეტა“, სამების ტაძრის მგალობელთა გუნდი, ანსამბლი „ბასიანი“, ვალერიან შიუკაშვილი, მურმან ჯინორია, მარიამ როინიშვილი, დირიჟორი დავით კინწურაშვილი. საიუბილეო საღამოზე შესრულდება პეტრე ჩაიკოვსკის კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის №1, გეორგ ფრიდრიხ ჰენდელის კონჩერტო გროსო თხზულება 6, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის დივერტისმენტები კვ 136/138, ილია II-ის საგალობლები. ღონისძიების ფარგლებში გაიმართება თამარ ბართაიას ფილმის „სტუმრად პატრიარქთან“ ჩვენება.


## განცხადებები

● იყიდება საკარმოდამო მიწის ნაკვეთი 2000 და 2500 კვ.მ. სასმელი და სარწყავი წყლით, ხეხილით, მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში. თბილისიდან 30 კმ-ში. ფასი 1 კვ.მ 2 დოლარი. ტელ: 890-53-02-41; 53-15-87;

● ბაგებში იყიდება მიწის ნაკვეთი, 716 კვ.მ. შესანიშნავი ხედით, დამტკიცებული პროექტითა და მშენებლობის ნებართვით. მიყვანილია ყველა სახის კომუნიკაცია. ტელ: 899-49-02-67.

● ვყიდი 37,5 კვ-იან დიზელის გენერატორს და ვიყიდი 15 ან 20 კვ-იან დიზელის გენერატორს. შესაძლებელია გაცვლაც. ტელ.: 890-388-142. 899-388-141.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა დიდი ლოჯით, სამზარეულოთი, ვანა-ტუალეტით. საერთო ფართი 54 კვ.მ. იტალიური ეზოს მე-2 სართულზე (ხარფუხში, დემირელის სკოლასთან). ტელ.: 857 99 05 40.

● უძილობა, შიში, აკვიატებული აზრები, დეპრესიები, ნევროზი, კლიმაქსური ფონი, პოტენციის დაქვეითება ქალებსა და მამაკაცებში, კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: უსიამოვნო სუნი პირიდან, დისბაქტერიოზი, კოლიტი, ღვიძლისა და ნაღვლის გაწმენდა ალკოჰოლური და ნარკოტიკული ტოქსინებისაგან, ყველაფერი უახლესი ტექნოლოგიებით დამზადებული მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-თან მიახლოებული შედეგით. ტელ: 899-90-54-78; 34-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● იყიდება ავტომობილი „ნივა“ კარგ მდგომარეობაში, ფასი 2000. ტელ:. 899 932 732.

# ლადო ვარძელაშვილი: „2011 წელი სიახლეების წელი იქნება“

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, ვლადიმერ ვარძელაშვილმა, განვლილი წელი შეაჯამა და ასევე მომავალი 2011 წლის მთავარი პრიორიტეტები და მიმართულებები დასახა.**

**ინტერვიუ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა**

***— ბატონო ლადო, შეიძლება ითქვას, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ახალი შექმნილია. აქედან გამომდინარე, რა შეიცვალა სამინისტროდ ჩამოყალიბების შემდეგ, რა ახალი პრიორიტეტები და გეგმები დაისახა?***

— სამინისტროს შექმნა სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ქართული სპორტისა და ჩვენი ახალგაზრდობის განვითარების მიზნით. ყველასათვის ნათელია, რომ ბოლო წლებში ნიშანდობლივად გაიზარდა ახალგაზრდების როლი საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. მათი მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა ჩვენი უმთავრესი მიზანია. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო იქნება ხიდი საქართველოს ხელისუფლებასა და ქართველ ახალგაზრდებსა და სპორტსმენებს შორის. აქედან გამომდინარე, მზად ვართ, მოვუსმინოთ ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჯანსაღი იდეები აქვს და აქტუალური საკითხებისადმი ნოვატორული მიდგომა გააჩნია. რაც შეეხება სიახლეებს, ახალგაზრდობის სფეროში სამინისტროს შექმნისთანავე ჩვენ მუშაობა დავიწყეთ „საქართველოს ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკის“ დოკუმენტზე. მუშაობის პროცესში ჩართულნი იყვნენ სტუდენტური თვითმმართველობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღნიშნული დოკუმენტი სახელმწიფოსა და ახალგაზრდობის ურთიერთობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს. პრიორიტეტები, რომლებიც 2011 წლისთვის არსებობს, ამავე დოკუმენტთან მოდის შესაბამისობაში. ესენია: ახალგაზრდული სექტორის კოორდინირებული მართვა, აქტიური მოქალაქეობის წახალისება, ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა, არაფორმალური განათლების პროცესის გაუმჯობესება და ახალგაზრდების შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა. ყველა ის პროგრამა, რომელიც 2011 წელს იქნება ახალგაზრდობისთვის შეთავაზებული, აღნიშნულ პრიორიტეტებს ეყრდნობა. სპორტის განვითარება თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ამის დასტურია ის ინვესტიციები, რომლებიც დღეს სპორტის განვითარებაში იდება. ის წარმატებებიცა და პრობლემებიც, რაც ჩვენს სპორტსმენებს აქვთ, ნათლად გვიჩვენებს, რა ცვლილებებია საჭირო, რა სიახლეები უნდა დაინერგოს, როგორი სტრატეგიაა საჭირო სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარებისთვის. სპორტს უდიდესი საზოგადოებრივი ფუნქცია გააჩნია. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, განათლების ხარისხის ზრდა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტებია სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებასთან ერთად. შეიძლება ითქვას, რომ სამინისტროს შექმნამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ორივე სფეროს, სპორტისა და ახალგაზრდობის კოორდინირებულ მუშაობას.

***— ჟურნალი „სპორტი და ახალგაზრდობა“, ტრადიციულად, ყოველი წლის ბოლოს განვლილ შედეგებს აჯამებს. როგორ შეაფასებდით 2010 წლის სპორტულ სეზონს?***

— ქართველი სპორტსმენები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში, 2010 წელი კი, ვფიქრობ, იმით იყო განსხვავებული, რომ წარმატებები ამჯერად



გუნდურ სახეობებში გვქონდა, რაც სწორ და მიზანმიმართულ მუშაობას მოჰყვა. ფეხბურთში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 2010 წელი წაუგებლად დაასრულა, კალათბურთელთა ნაკრებმა პირველად დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა, მორაგბეთა ნაკრები ზედიზედ მესამედ გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე, წყალბურთელთა ნაკრები კი რამდენიმეწლიანი იძულებითი უმოქმედობის შემდეგ წარმატებულად ჩაერთო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ რაუნდში. სასიხარულოა, რომ 2010 წელს გუნდურ სახეობებში ახალგაზრდებმაც აჩვენეს შედეგი — 19-წლამდელ მორაგბეთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა, 18-წლამდელმა მორაგბეებმა ევროპაში მე-3 ადგილი მოიპოვეს, 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრები კი ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში გავიდა. რაც შეეხება სპორტის ინდივიდუალურ სახეობებს, ოლიმპიურ სახეობებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებზე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში ქართველმა სპორტსმენებმა 78 ოქროს, 59 ვერცხლისა და 131 ბრინჯაოს მედალი, ჯამში, 268 მედალი მოიპოვეს, რასაც არაოლიმპიურ სახეობებში მოპოვებულ წარმატებებს თუ დავუმატებთ, 400-მდე მედალს მივიღებთ, რაც საქართველოსათვის საკმაოდ ეფექტური მაჩვენებელია. ასევე აღსანიშნავია ის საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები, რომლებიც საქართველოში გაიმართა სპორტის სხვადასხვა სახეობებში — ფეხბურთში, რაგბში, კალათბურთში, წყალბურთში, ხელბურთში, ძიუდოსა და ჭიდაობაში, სამბოში, ჭადრაკსა თუ ჩოგბურთში. 2010 წელს საქართველოს არაერთი მაღალი რანგის სტუმარი ეწვია. ჩვენ ვუმასპინძლეთ ევროპის ფეხბურთის, რაგბის, წყალბურთის, მძლეოსნობისა და სხვადასხვა სპორტის სახეობების ევროპის ფედერაციების ხელმძღვანელებს. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ უცხოელი სპეციალისტები მოვიწვიეთ ისეთ სახეობებში, როგორებიცაა ძიუდო, მშვილდოსნობა, ტაეკვონდო.

***— 2010 წლის სპორტული სეზონის კიდევ ერთი დიდი გამარჯვება თბილისის 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქად აღიარება იყო.***

— რა თქმა უნდა, ეს არა მხოლოდ ქართული სპორტის, არამედ თბილისისა და საქართველოს ძალიან დიდი გამარჯვებაა. შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ამ გამარჯვებით საქართველო სპორტულ ევროკავშირში მიიღეს. საქართველოს დედაქალაქმა ჩეხეთის ქალაქ ბრნოს აჯობა, პირველი, ძალზე სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება გვმართებს. თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები სპორტის 9 სახეობაში გაიმართება, საქართველოს დედაქალაქს ევროპის 49 ქვეყნის 4000-მდე ახალგაზრდა სპორტსმენი ეწვევა, რაც ჩვენთვის მართლაც რომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იქნება.

***— ამ ყოველივეს შემდეგ ორმაგად საინტერესოა, როგორ მიმდინარეობს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესი, რა ახალი დარბაზები აშენდა 2010 წელს და რა იგეგმება 2011 წელს?***

— ინფრასტრუქტურული განვითარების კუთხით 2010 წელს მართლაც მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, თბილისის მერიის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და კერძო ინვესტორების მიერ 2010 წელს აშენდა თბილისის საცურაო აუზი „ოლიმპიკი“, სანაკრებო და საშეჯიბრებო სარაგბო ბაზები — „შევარდენი“ და „სინათლე“, სპორტული კომპლექსი „შატილი“, კაპიტალურად შერემონტდა ყოფილი არმიის სპორტული კლუბი, ყოფილი „მართვეს“ სპორტული კომპლექსი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ტერიტორიაზე არსებული სპორტული დარბაზი. რეგიონებში სრულად გარემონტდა ქუთაისის საფეხბურთო სტადიონი, კორტები და ტანვარჯიშის დარბაზი, ყვარლის, ჟინვალის, ჭიათურის სპორტული სკოლები, აშენდა მარნეულის სპორტული კომპლექსი, ექსპლუატაციაში შევიდა დუშეთის ოლიმპიური მზადების ცენტრი, მესტიის სპორტული სკოლა, საფუძველი ჩაეყარა ახალი სპოორტული ობიექტების მშენებლობებს ოზურგეთში, ამბროლაურში, ხარაგაულსა და რუსთავში. ბუნებრივია, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება სამინისტროსათვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება 2011 წელსაც.

***— საინტერესოა, რა სახის ახალგაზრდული პროგრამები მოქმედებს სამინისტროში, რა გაკეთდა 2010 წელს და რა ძირითადი პრიორიტეტები აქვს სამინისტროს ამ მიმართულებით?***

— 2010 წელს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით ათეულობით ახალგაზრდული პროექტი და ღონისძიება განხორციელდა. კვლავინდებურად წარმატებულად ხორციელდება პროექტი „პატრიოტი“, რომელიც 2010 წელს ძალზე საინტერესო და ეფექტური გამოდგა. ვფიქრობთ, სამინისტრომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახალგაზრდული ცხოვრების გამოცოცხლებაში. სამინისტროს ინიციატივითა და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გაიხსნა ახალგაზრდული ცენტრები მარნეულში, ამბროლაურში. სამომავლოდ მთელი საქართველოს მასშტაბით ჩვენ 8 ახალგაზრდული ცენტრის გახსნას ვგეგმავთ, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდობას არაერთი მიმართულებით. 2011 წელი სიახლეების წელი იქნება. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თითოეულმა ახალგაზრდამ იცოდეს, ჩვენს მთავარ საზრუნავს სწორედ ისინი წარმოადგენენ.

***— 2010 წელი ბავშვთა და სტუდენტური სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიმართულებითაც გამორჩეული გამოდგა.***

— ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ პრეზიდენტის ინიციატივით განხორციელებული პროექტი, რომლის შედეგად საჯარო სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები სპორტის გაკვეთილებით შეიცვალა და სპორტი სკოლებში დაბრუნდა. პროექტი მართლაც ინოვაციურია და ის უახლოესი მომავალისათვის აუცილებლად გამოიღებს შედეგს — პროფესიონალი მწვრთნელიტ-მასწავლებლების მხედველობის არეში იქნება ყველა ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა, რომელთა შემდგომში დაოსტატება დიდად წაადგება სპორტში თაობათა ცვლასა და სტაბილურობას. ასევე სასიხარულოა, რომ გამოცოცხლდა სტუდენტური სპორტული ცხოვრება, რაც ზოგადად სპორტის სამომავლო განვითარებისათვის დიდი მუხტის მიმცემი იქნება.

***— რა იქნება 2011 წლის ძირითადი სპორტული გეგმები და ღონისძიებები. რა მიმართულებით იმუშავებს სამინისტრო მომავალ წელს?***

— 2011 წელი უმნიშვნელოვანესია რამდენიმე მიმართულებით. სპორტის სფეროში მთავარი პრიორიტეტები იქნება ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის მონაწილეობისათვის საჭირო ლიცენზიების მოპოვება, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების წარმატებული ასპარეზობა და იმ სამთავრობო პროგრამების განხორციელება, რაც ბოლო წლებში მართლაც ეფექტურ შედეგს გვაძლევს. 2011 წელს გუნდურ სახეობებში ძალზე მნიშვნელოვანი ტურნირები გველის საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისათვის, კალთბურთელთა ნაკრები კი ევროპის ჩემპიონატისათვის უნდა მოვამზადოთ. ასევე ღირსეულად უნდა ვუმასპინძლოთ რაგბიში 2011 წლის ახალგაზრდული მსოფლიო თასის ეტაპს, რომელიც თბილისში გაიმართება და შევეცადოთ, წარმატებულად გავაგრძელოთ ფეხბურთსა და წყალბურთში გასულ წელს დაწყებული დაუმარცხებელი სერია. ძალზე საინტერესო იქნება ახალგაზრდული მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებებიც, უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ასევე საერთაშორისო ურთიერთობებსა და ამ კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს. გასულ წელს სამინისტრო რამდენიმე ძალზე სერიოზულ საერთაშორისო პროექტში მონაწილეობდა — საქართველო შეუერთდა სპორტის შესახებ გაფართოებულ წილობრივი შეთანხმება „ეპასს“, მექსიკაში მსოფლიო ახალგაზრდულ სამიტზე საქართველო აირჩიეს 15 ვიცე-პრეზიდენტ ქვეყანას შორის, აქტიურად ჩავებით ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის აღსრულებაში, ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველო გაწევრიანდება ევროპული ახალგაზრდული ბარათის ასოციაციაში და აღებული კურსი მომავალ წელსაც გაგრძელდება. ასე რომ, 2011 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მართლაც რომ დიდი გამოწვევები ელის.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

იორდანია-უზბეკეთი ........ 2:2
ერაყი-ჩინეთი ........ 2:3
საემიროები-სირია ........ 2:0
ირანი-ანგოლა ........ 1:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-ასტონ ვილა ........ 3:3
უიგანი-ნიუკასლი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 19 | 11 | 8 | 0 | 41-18 | 41 |
| 2.სიტი | 21 | 12 | 5 | 4 | 33-16 | 41 |
| 3.არსენალი | 20 | 12 | 3 | 5 | 42-22 | 39 |
| 4.ტოტენჰემი | 20 | 10 | 6 | 4 | 30-23 | 36 |
| 5.ჩელსი | 20 | 10 | 5 | 5 | 36-18 | 35 |
| 6.სანდერლენ. | 21 | 7 | 9 | 5 | 24-22 | 30 |
| 7.ბოლტონი | 21 | 7 | 8 | 6 | 33-28 | 29 |
| 8.სტოკი | 20 | 8 | 3 | 9 | 25-24 | 27 |
| 9.ლივერპ. | 19 | 7 | 4 | 8 | 23-24 | 25 |
| 10.ნიუკასლი | 20 | 7 | 4 | 9 | 29-31 | 25 |
| 11.ბლექპული | 18 | 7 | 4 | 7 | 26-30 | 25 |
| 12.ბლექბერნი | 21 | 7 | 4 | 10 | 26-34 | 25 |
| 13.ევერტონი | 20 | 4 | 10 | 6 | 21-24 | 22 |
| 14.ვ.ბრომვიჩი | 20 | 6 | 4 | 10 | 26-36 | 22 |
| 15.ა. ვილა | 20 | 5 | 6 | 9 | 23-37 | 21 |
| 16.ვესტჰემი | 21 | 4 | 8 | 9 | 22-33 | 20 |
| 17.უიგანი | 20 | 4 | 8 | 8 | 17-32 | 20 |
| 18.ბირმინგ. | 19 | 3 | 10 | 6 | 18-24 | 19 |
| 19.ფულემი | 20 | 3 | 10 | 7 | 19-24 | 19 |
| 20. ვულვზი | 20 | 5 | 3 | 12 | 20-35 | 18 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-დეპორტივო ........ 1:2
ბარსელონა-ლევანტე ........ 2:1
ხიხონი-მალაგა ........ 1:2
სევილია-ოსასუნა ........ 1:0
ვალენსია-ესპანიოლი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 17 | 15 | 1 | 1 | 53-10 | 46 |
| 2.რეალი | 16 | 13 | 2 | 1 | 39-12 | 41 |
| 3.ვილიარ. | 16 | 10 | 3 | 3 | 30-14 | 33 |
| 4.ვალენსია | 17 | 9 | 4 | 4 | 26-20 | 31 |
| 5.ესპანიოლი | 17 | 9 | 1 | 7 | 19-24 | 28 |
| 6.ატლეტიკო | 16 | 8 | 2 | 6 | 27-19 | 26 |
| 7.ხეტაფე | 16 | 8 | 2 | 6 | 26-22 | 26 |
| 8.ბილბაო | 17 | 8 | 1 | 8 | 26-29 | 25 |
| 9.სევილია | 17 | 7 | 2 | 8 | 22-27 | 23 |
| 10.სოსიედადი | 16 | 7 | 1 | 8 | 22-26 | 22 |
| 11.მალიორკა | 16 | 6 | 3 | 7 | 16-20 | 21 |
| 12.დეპორტ. | 17 | 5 | 6 | 6 | 15-20 | 21 |
| 13.ერკულესი | 16 | 5 | 4 | 7 | 18-22 | 19 |
| 14.რასინგი | 16 | 5 | 3 | 8 | 13-23 | 18 |
| 15.ოსასუნა | 17 | 4 | 5 | 8 | 15-21 | 17 |
| 16.მალაგა | 17 | 5 | 1 | 11 | 22-36 | 16 |
| 17.ლევანტე | 17 | 4 | 3 | 10 | 19-28 | 15 |
| 18.ალმერია | 16 | 2 | 7 | 7 | 15-25 | 13 |
| 19.ხიხონი | 17 | 2 | 6 | 9 | 13-26 | 12 |
| 20.სარაგოსა | 16 | 1 | 7 | 8 | 14-27 | 10 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

გრანადა-ალკორკონი ........ 1:0
რაიო-სელტა ........ 1:3
ბეტისი-ტარაგონა ........ 1:0
ალბასეტე-კორდობა ........ 1:0
ვალიადოლიდი-ტენერიფე ........ 2:2
ვილიარეალი ბ-ელჩე ........ 1:1
ხირონა-კარტახენა ........ 1:1
ლას პალმასი-ბარსელონა ბ ........ 2:2
პონფერადინა-ნუმანსია ........ 0:4
უელვა-უესკა ........ 0:1

**პორტუგალია. თასი**

ავეში-ოლჰანენსე ........ 3:2
აროკა-ფერეირა ........ 2:3
ჟილ ვისენტე-ბეირა მარი ........ 2:1
ეშტორილი-პენაფიელი ........ 0:1
პორტუ-ნაციონალი ........ 1:2
ბენფიკა-მარიტიმუ ........ 2:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

რეინჯერსი-სელტიკი ........ 0:2
სტ.ჯონსონი-ინვერნესი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 19 | 14 | 3 | 2 | 41:13 | 45 |
| 2.რეინჯერსი | 17 | 13 | 2 | 2 | 39:19 | 41 |
| 3.ჰართსი | 19 | 12 | 3 | 4 | 33:15 | 39 |
| 4.კილმანროკი | 18 | 8 | 3 | 7 | 30:21 | 27 |
| 5.ინვერნესი | 20 | 7 | 6 | 7 | 30:26 | 27 |
| 6.მოზერველი | 18 | 7 | 3 | 8 | 24:23 | 24 |
| 7.დანდი | 15 | 5 | 6 | 5 | 18:23 | 21 |
| 8.სტ.ჯონსონი | 18 | 6 | 3 | 9 | 13:25 | 21 |
| 9.აბერდინი | 19 | 5 | 2 | 12 | 19:38 | 17 |
| 10.ჰიბერნიანი | 19 | 4 | 4 | 11 | 21:32 | 16 |
| 11.სტ.მირენი | 18 | 4 | 4 | 10 | 17:31 | 16 |
| 12.ჰამილტონი | 17 | 2 | 5 | 10 | 11:30 | 11 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ნიუ იორკი-ინდიანა ........ 98:92
კლიპერსი-ატლანტა ........ 98:107

***ზაზა ფაჩულია: 6 ქულა***

ტორონტო-ბოსტონი ........ 79:93
კლივლენდი-დალასი ........ 95:104
პორტლენდი-ჰიუსტონი ........ 100:85
საკრამენტო-ფინიქსი ........ 94:89
ლეიკერსი-მემფისი ........ 85:104

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

მონრეალი-ატლანტა ........ 3:4(ოტ)
დეტროიტი-ფილადელფია ........ 2:3
ფლორიდა-რეინჯერსი ........ 3:0

**მინესოტა-ფინიქსი 6:5(ოტ)**

ნეშვილი-კოლამბუსი ........ 4:1
სენტ ლუისი-დალასი ........ 2:4
ანაჰაიმი-ჩიკაგო ........ 2:1
კოლორადო-ვანკუვერი ........ 1:2

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

## დღის კალენდარი

### 4 იანვრისთვის



წლის მე-4 დღე, ახალ წლამდე დარჩა 361-ე დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

**სამშაბათი**

ხსენება დიდმოწამე ანასტასია მწვალებლობათა დამხსნელისა (დაახლ. 304); მოწამეთა: ქრისტოგონისა, თეოდოტიასი, ევოდოსი, ევტიხიანესი და სხვათა (დაახლ. 304).

**დაიბადნენ:**

1643 — ისააკ ნიუტონი, ინგლისელი მათემატიკოსი და ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1727 წელს.

1709 — ჯოვანი პერგოლეზი, იტალიელი კომპოზიტორი.

1785 — იაკობ გრიმი, ცნობილი მეზღაპრე.

1847 — ნიკო დადიანი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი. გარდაიცვალა 1903 წელს.

1933 — ილია II (ერისკაცობაში ირაკლი ღუდუშაურ-შიოლაშვილი), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

**გარდაიცვალნენ:**

1941 — ანრი ბერსონი, ფრანგი ფილოსოფოსი-იდეალისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1960 — ალბერ კამიუ, ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1961 — ერვინ შრედინგერი, ავსტრიელი ფიზიკოს-თეორეტიკოსი.

1965 — თომას ელიოტი, ამერიკელი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**მოვლენები:**

1493 — ქრისტეფორ კოლუმბი ამერიკის აღმოჩენის შემდეგ უკან გამოემგზავრა.

1772 — პრუსიის მეფე ფრიდრიჰ მეორე და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა მეორე საიდუმლოდ შეთანხმდნენ პოლონეთის გაყოფაზე.

1774 — ლევან ბატონიშვილის ინიციატივით ქართლ-კახეთის სამეფოში შეიქმნა რეგულარული ლაშქარი — მორიგე ჯარი (1174).

1867 — ნიკო დადიანს უარი ათქმევინეს სამთავრო ტახტზე, რის შემდეგაც გაუქმდა სამეგრელოს სამთავრო.

1943 — ჟურნალმა თაიმმა„ წლის ადამიანად იოსებ სტალინი გამოაცხადა.

*მედიანიუსი*

## შვარცენეგერი გუბერნატორი აღარ არის



ყოფილმა კულტურისტმა, კინომსახიობმა და „ზომიერმა რესპუბლიკელმა“, არნოლდ შვარცენეგერმა, კალიფორნიის გუბერნატორის პოსტი დატოვა და იგი დემოკრატ ჯერი ბრაუნს დაუთმო.

2003 წელს გუბერნატორის არჩევნებში შვარცენეგერმა გონივრული ფინანსური პოლიტიკის გატარებისა და შტატის ვალების შემცირების ლოზუნგებით გაიმარჯვა.

მიუხედავად ამისა, მისი მმართველობის დროს კალიფორნიის შტატი ფულის სესხად აღებას აგრძელებდა. გარდა ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვისა, ეს თანხა სხვადასხვა მასშტაბურ პროექტს ხმარდებოდა, როგორიც იყო, მაგალითად, ჩქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა და სამედიცინო გამოკვლევები.

მიუხედავად იმისა, რომ არნოლდ შვარცენეგერი აშშ-ის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ შტატს შვიდი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, მრავალ მიმომხილველს მიაჩნია, რომ „ტერმინატორს“ პოლიტიკოსის გამოცდილება არ ეყო.

მათი თქმით, პროფესიონალ პოლიტიკოსს გარკვეული უნარ-ჩვევები მოეთხოვება და შვარცენეგერს გუბერნატორის პოსტის დაკავების დროს ეს ჩვევები არ ჰქონდა.

გარდა ამისა, მის მთავარ პრობლემად იქცა პარლამენტთან ურთიერთობის დამყარება. შვარცენეგერმა ეს ვერ მოახერხა და, საბოლოო ჯამში, მისი დამარცხება განაპირობა.

ამასთან, კალიფორნიის უმთავრეს პრობლემად ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტი რჩება.

2010 წელს ბიუჯეტის მიღება მხოლოდ ოქტომბერში მოხერხდა, თანაც დეფიციტმა 19 მილიარდი დოლარი შეადგინა. რამდენიმე კვირის შემდეგ გუბერნატორმა განაცხადა, რომ ბიუჯეტში დაფიქსირებული ხარჯების შემცირებები საკმარისი არ არის და შტატს ეკონომიის უფრო მკაცრ ზომებზე გადასვლა მოუწევს.

ახალი გუბერნატორი ბრაუნი და დემოკრატები აცხადებენ, რომ ეკონომიკის სწრაფად „გამოჯანსაღება“ შეუძლებელია და რომ უახლოეს მომავალში ბიუჯეტის დეფიციტმა 28 მილიარდს შეიძლება მიაღწიოს. თუმცა, ეს უკვე ტერმინატორის საფიქრებელი არ იქნება.

შვარცენეგერის პრესმდივანმა, აარონ მაკლირიმ, განაცხადა, რომ მისმა შეფმა არაერთი წინადადება მიიღო როგორც კორპორაციების, ასევე გართობის ინდუსტრიისაგან.

როგორც თავად შვარცენეგერმა განაცხადა, მას გარკვეული სამომავლო გეგმები არ აქვს. თავის ინტერნეტ-გვერდზე, თვითერში, შვარცენეგერმა აღნიშნა, რომ კვლავაც აქტიურად გააგრძელებს საქმიანობას გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

მიმომხილველების თქმით, აშკარაა, რომ არნოლდ შვარცენეგერი გუბერნატორის პოსტის დატოვების შემდეგ ფულის შოვნაზე გადავა. ყოფილმა მსახიობმა ორი საარჩევნო კამპანიისათვის 25 მილიონი დოლარი დახარჯა, მაშინ როდესაც გუბერნატორის ხელფასი წელიწადში 174 ათასს შეადგენს.

გარდა არჩევნების ხარჯებისა, არნოლდ შვარცენეგერი შტატის დედაქალაქ საკრამენტოდან ლოს ანჯელესში გადასაფრენად თავის პირად თვითმფრინავს იყენებდა.

## ირანის პრეზიდენტის ძველი მანქანა მილიონად იყიდება

ირანის ამჟამინდელი პრეზიდენტის, მაჰმუდ აჰმადინეჟადის აუქციონზე გამოტანილი ძველი პეჟო შესაძლოა მილიონ დოლარად გაიყიდოს.

როგორც ირანის საინფორმაციო სააგენტო ირნა აცხადებს, ეს წინადადება ერთ-ერთი არაბული ქვეყნიდან გამოვიდა.

მანამდე ირანის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ აჰმადინეჟადის 1977 წლის გამოშვება პეჟო 504-ს არანაკლებ 2 ათას დოლარად გაყიდვის იმედი აქვთ. ირანში ამ კლასისა და ასაკის მანქანები ასეთ ფასად იყიდება.



მანქანის გაყიდვით მიღებულ თანხას ინვალიდებისათვის ბინათმშენებლობის დაფინანსებისათვის, აგრეთვე ქალთა დახმარების ფონდების დასაფინანსებლად გამოიყენებენ.

პოტენციურმა მყიდველებმა აუქციონის მესვეურებს თავიანთი წინადადებებით ერთი თვის განმავლობაში შეუძლიათ მიმართონ.

აუქციონი აჰმადინეჟადის მთავრობის არაპოპულარული რეფორმების ფონზე მიმდინარეობს. ირანის მთავრობამ კვების პროდუქტებისა და ელექტროენერგიის სუბსიდირება შეწყვიტა, რამაც მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენებისათვის ცხოვრების მნიშვნელოვნად გაძვირება გამოიწვია.

## საბერძნეთში გადაშენების პირას მყოფი სელაპების კოლონია აღმოაჩინეს



საბერძნეთის ერთ-ერთ კუნძულზე მეცნიერებმა მეტად იშვიათი ხმელთაშუა ზღვის სელაპის დღემდე უცნობი კოლონია აღმოაჩინეს.

ამ სახეობას გადაშენება ემუქრება და მსოფლიოში ხმელთაშუა ზღვის მხოლოდ 600-მდე სელაპი დარჩა.

მკვლევრებმა მათი კოლონიის ადგილსამყოფელი განგებ არ გაამხილეს, რათა ცხოველები ადამიანების აბეზარი ცნობისმოყვარეობისაგან დაეცვათ.

ეს ერთადერთი ადგილია რეგიონში, სადაც სელაპები ღია პლაჟებზე ბინადრობენ და გამოქვაბულებში არ იმალებიან.

მეცნიერების აზრით, სელაპებისათვის საფრთხის მთავარ წყაროს ადამიანები წარმოადგენენ. სწორედ ადამიანების ზეწოლის გამო გადაწყვიტეს სელაპებმა ძნელად მისადგომ გამოქვაბულებში დამალვა, რაც მათი რიცხვის შემცირებას უწყობს ხელს. გამოქვაბულებში ახალშობილი სელაპების უფრო ნაკლები რაოდენობა აღწევს სრულწლოვანობამდე და ძლიერი მოქცევისა და ქარიშხლის დროს მრავალი მათგანი იღუპება.

მეცნიერებმა კუნძულზე ვიდეოკამერები დაამონტაჟეს და ცხოველებზე დაკვირვებას მათი შეწუხების გარეშე აპირებენ.

ტურისტებს შორის საბერძნეთის კუნძულების პოპულარობამ სელაპები აიძულა, მათი საცხოვრებელი ადგილები დაეტოვებინათ.

## ჟა ჟა გაბორს შეიძლება ფეხი მოჰკვეთონ



ჰოლივუდის ცნობილ მსახიობს, წარმოშობით უნგრელ ჟა ჟა გაბორს მარჯვენა ფეხის ნაწილობრივი ამპუტაციის ოპერაცია ელის.

მისი მეუღლის, პრინც ფრიდრიხ ფონ ანჰალტის თქმით, მედიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ 93 წლის მსახიობს, რომელმაც 2010 წელს ფეხი მოიტეხა, განგრენის ნიშნები დაეტყო და მუხლს ქვემოთ კიდურის მოკვეთის აუცილებლობა წარმოიქმნა.

2002 წლის ნოემბერში ავტომობილი, რითაც მსახიობი მგზავრობდა, ჰოლივუდის სანსენტის ბულვარზე ბოძს დაეჯახა. მსახიობმა რამდენიმე მოტეხილობა მიიღო და ამჟამად, ნაწილობრივ პარალიზებული, ინვალიდის სავარძელს არის მიჯაჭვული. 2005 წელს მას ინსულტი დაემართა.

პრინცმა ფონ ანჰალტმა დაადასტურა, რომ მის მეუღლეს ექიმებმა ამპუტაციის ოპერაცია ჯერ კიდევ დღესასწაულებამდე ურჩიეს. გაბორს თავდაპირველად ოპერაციის გაგონებაც არ სურდა, მაგრამ შემდეგ მისი მდგომარეობა გაუარესდა და დათანხმდა.

წარმოშობით უნგრელი ჟა ჟა გაბორი ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ფილმებით „მულენ რუჟი“, „სიყვარულის სამი ისტორია“, „გოგონა კრემლში“ და სხვა. მდიდარ მამაკაცებთან მრავალრიცხოვანმა ქორწინებებმა მას სკანდალური პოპულარობა მოუტანა და მეტსახელად „ქორწილების დედოფალიც“ კი უწოდეს.

ჟა ჟა გაბორი 13 წლის ასაკში თურქ დიპლომატს გაჰყვა ცოლად. აშშ-ში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ სხვადასხვა დროს სასტუმროების მაგნატის, კონრად ჰილტონის, ბრიტანელი მსახიობის, ჯორჯ სანდერსის, ბარბის თოჯინის ავტორის, ჯეკ რაიანის ცოლი იყო. მეშვიდედ იგი ცოლად გაჰყვა ადვოკატს, რომელსაც რაიანთან მისი განქორწინების პროცესი მიჰყავდა. 1986 წლიდან იგი პრინც ფრიდრიხ ფონ ანჰალტის მეუღლეა.

გარდა ამისა, როგორც ამბობენ, მას რომანები ჰქონდა ჯონ კენედისთან, მარიო ლანცასთან, შონ კონერისთან, რიჩარდ ბარტონთან და ფრენკ სინატრასთან.

ჟა ჟა გაბორი საქვეყნოდ იყო ცნობილი ქურქებისა და ძვირფასი ქვების სიყვარულით. მისი მერვე ქორწინება ერთი დღის შემდეგ ბათილად ცნეს, რადგან, როგორც გაირკვა, მეშვიდე ქმართან განქორწინება ჯერ კიდევ ოფიციალურად არ იყო დამტკიცებული.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## შაშვების წვიმა არკანზასში



აშშ-ის არკანზასის შტატის პატარა ქალაქ ბიბის მოსახლეობისათვის ახალი წელი უჩვეულო შემთხვევით დაიწყო — ახალი წლის ღამეს ციდან ათასამდე მკვდარი შაშვი ჩამოცვივდა, რომლებმაც გზები და სახლის სახურავები დაფარეს.

ორნიტოლოგები ამ „ფრინველების წვიმის“ ამოცანის ამოხსნას ცდილობენ. გამოითქვა სხვადასხვა ვერსია, მათ შორის ივარაუდეს, რომ ფრინველების ჯგუფს მეხი დაეცა ან ისინი სეტყვაში მოყვნენ.

არკანზასის შტატის თევზისა და ბუნების კომისიამ პირველი ცნობები ციდან ჩამოცვენილი ფრინველების შესახებ ღამის თორმეტის ნახევრისათვის მიიღო. ნაშუაღამევს ქალაქ ბიბიში დაახლოებით ორი კილომეტრი რადიუსის ტერიტორია ფრინველებით იყო მოფენილი.

ფრინველების დახოცვის მიზეზების დადგენის მიზნით სპეციალისტებმა 60-მდე ფრინველი მოაგროვეს.

იმავე დღეს არკანზასსა და მეზობელ შტატებს ქარბორბალა დაატყდა თავს, რომელმაც შვიდი ადამიანი იმსხვერპლა. ადგილობრივი ორნიტოლოგები ამ ორი მოვლენის ერთმანეთთან კავშირის შესაძლებლობის შესახებ ვერაფერს ამბობენ.

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 2. ესპანური წარმოშობის ფრანგი მხატვარი; 3. უნივერსიტეტი პარიზში; 4. პოპულარული ამერიკული სიგარეტი; 5. კომპიუტერული თამაშების მოყვარული; 7. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი; 11. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 13. ჰაერის გაუხშოებული მდგომარეობა ჰერმეტულ ჭურჭელში, სიცარიელე; 14. ეგვიპტის ძველი დედაქალაქი; 15. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 17. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 19. ტბა იტალიის ჩრდილოეთში.

**თარაზულად:** 5. უხუცესთა საბჭო ძველ საბერძნეთში; 6. გამოქვაბულებში, ნაპრალებში, მიწისქვეშეთში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესი; 8. ფიჯის დედაქალაქი; 9. შავი ზღვის ძველბერძნული სახელწოდება; 10. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 11. ფეხბურთის სათამაშო სპეციალური ფეხსაცმელი; 13. ყველაზე დიდი ჩანჩქერი აფრიკაში; 14. ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფი; 16. ქართველი კინორეჟისორი; 18. ხელოვნური მარმარილო; 20. რაიმე მოქმედების აღმძვრელი ბიძგი, მიზეზი; 21. მოყვარული მოტოციკლეტისტი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ფოსფორი; 3. პომადა; 8. სომალი; 10. დემეტრა; 11. ბერტა; 12. მონსტრი; 14. საირაო; 15. ნაილონი; 16. პატრი; 19. სატირი; 20. კიმბალი; 21. მოტორი.

**შვეულად:** 1. ფარშევანგი; 2. რიყეთი; 3. პარტერი; 4. დურდო; 5. მონოტიპი; 6. მაისი; 7. მიოზიტი; 9. კატერი; 13. ტორტი; 17. ტარო; 18. რეი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. არვე; 2. კუ; 3. ლევილი; 4. აისი; 5. ლოს; 6. კამეა; 7. ნაპოლეონ; 8. ცაგერი; 9. პანაცეა; 10. ანათემა; 11. მუმლი; 12. პანიკა; 13. ათოსი; 14. ამალა; 15. ალაგე; 16. ამანათი; 17. სევანი; 18. რაკეტა; 19. ასაკი; 20. ანოსმია; 21. სენიორა; 22. აყალო; 23. არგო; 24. ნამყო; 25. ოპალი; 26. არხოტი; 27. პო; 28. ირმა; 29. ტილ; 30. ბის; 31. რერიხი; 32. მარშალი.

**სურათებზე:** ანუკ ემე; ვალტერ სამუელი.

# ქართველი ქალები მსოფლიო პროექტში ჩაერთვნენ

ეკა ირემაშვილი

მსოფლიოში ცნობილი კომპანია „ეივონი“ საერთაშორისო მუსიკალურ პროექტში „ეივონ სონგს“ საქართველოსაც ჩართავს. კომპანიის წარმომადგენლები საქართველოში მცხოვრებ მუსიკალური ნიჭის მქონე ქალბატონებს მსოფლიო პოპულარობის მოხვეჭის უნიკალურ შანსს აძლევენ. კომპანიამ უკვე დაიწყო ონლაინ მუსიკალური პროექტი „ეივონ სონგს“, რომელიც ქალთა შორის ნიჭიერ შემსრულებლებს მსოფლიოს სამოც ქვეყანასთან ერთად საქართველოშიც მოძებნის.

„ეივონი“ მსოფლიოში ცნობილი კოსმეტიკის მწარმოებელი კომპანიაა ქალებისთვის. კომპანიის წლიური ბრუნვა მთელ მსოფლიოში 10 მილიარდ დოლარს აღემატება. კომპანია რეალიზაციას პირდაპირი გაყიდვების გზით აწარმოებს და საქმიანობს მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში. მთელი მსოფლიოს მასშტაბით კი კომპანია 6 მილიონზე მეტი დისტრიბუტორით არის წარმოდგენილი.

„ეივონის“ ინფორმაციით, საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობა მუსიკალური ნიჭის მქონე ნებისმიერ სრულწლოვანს შეუძლია. სამოყვარულო ვიდეოთი გადაღებული საკუთარი შესრულება ყველა მსურველმა 13 თებერვლის ჩათვლით, კონკურსის ვებგვერდზე უნდა ატვირთოს. ხოლო მათთვის, ვინც თავად წერს სიმღერებს, სამოყვარულო ვიდეო იმავე საიტზე 20 მაისიდან 1 ივლისამდე უნდა განათავსოს.

მუსიკალური პროექტი „ეივონ სონგს“ კომპანიის 125 წლის იუბილეს უკავშირდება. როგორც კომპანიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, მათ სურდათ, ქალებისთვის შესაძლებლობა მიეცათ, მოეხდინათ საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება და სწორედ მათი მეშვეობით მიეღწიათ მსოფლიო პოპულარობისთვის. კონკურსი ონლაინ ხმის მიცემის სისტემაზეა დამყარებული. პირველი ტურის დასასრულს ჟიური გამოავლენს 197 მეოთხედფინალისტს და ყველა მათგანისთვის ეივონი საფრანგეთში, პარიზში პროფესიონალურ დონეზე კლიპის გადაღებას უზრუნველყოფს. ბოლო ტურში კი, ხმის მიცემის შედეგად გამოვლენილი 10 კონკურსანტისთვის მორიგ ახალ კლიპს „ეივონი“ უკვე შოუბიზნესის ცენტრში ჰოლივუდში გადაიღებს.

ფინალში დასახელდება ორი გამარჯვებული, ერთი მონაწილეთა საერთო შემადგენლობიდან, ხოლო მეორე კონკურსში მონაწილე „ეივონის“ წარმომადგენლებისგან. ფინალისტები კომპანია „ეივონისგან“ პრიზად პროფესიონალური, პროდიუსირებული ალბომის ჩაწერას მიიღებენ, რომელიც ეივონის ყოველთვიური კატალოგის მეშვეობით მთელ მსოფლიოში გავრცელდება.

პროექტ „ეივონ სონგსის“ ჟიურიში წარმოდგენილი არიან მეგავარსკვლავი, გრემის პრემიის ექვსგზის ლაურეატი მომღერალი ფერჯი, ლეგენდარული სიმღერების ავტორი დაიან უორენი და ცნობილი რუსი მომღერალი ვალერია. საქართველოში, უკრაინაში, რუსეთსა და ყაზახეთში პროექტის მხარდამჭერია ცნობილი მომღერალი დიმიტრი მალიკოვი.

## ეთერ კაკულია ახალ წელს საბერძნეთში შეხვდა

ეკა ირემაშვილი

ქართველი მომღერალი ეთერ კაკულია კვლავ განაგრძობს თავისი სიახლეებით საზოგადოების გაოცებას. შაკირას გახმაურებული სიმღერის თავისებური ინტერპრეტაციით ჩაწერის შემდეგ, ეთერ კაკულიამ პატარა მომღერალთან ნიაკო ბლიაძესთან ერთად დუეტი ჩაწერა და მისი პრეზენტაცია, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ საბერძნეთში გამართა.

„ვიმეგობროთ ბავშვებთან“ — ასე ეწოდება დუეტს, რომლისთვისაც მელოდია კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა დაწერა, ხოლო ტექსტი — ეთერ კაკულიას ძმამ. სიმღერა მეგობრობასა და ბავშვების სიყვარულზეა. ახალი წლის ღამეს პატარა მომღერალმა ეთერ კაკულიასთან ერთად სალონიკში ქართული დიასპორისთვის შეასრულა სიმღერა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

— ყოველ ახალ წელს მინდა სიახლით შევხვდე, მთელი წელი გავიხალისო და გავილამაზო. მიხარია, რომ წელსაც მოვახერხე ამ სურვილის შესრულება და პატარა ნიჭიერ გოგონასთან დუეტი ჩავწერე. ხომ გახსოვთ, 102 წლამდე უნდა ვიცოცხლო, ამიტომ ჩემგან სიახლეებს ისევ ელოდეთ, — გვითხრა ეთერ კაკულიამ.

რაც შეეხება დუეტის თბილისურ პრემიერას, ის მომღერლების საბერძნეთიდან დაბრუნებისთანავე გაიმართება.

## გიორგიწმინდასა და ველისციხეში ინდივიდუალური გამრიცხველიანება დასრულდა

კომპანია სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციამ“ საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში და გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში ინდივიდუალური გამრიცხველიანება დაასრულა.

ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, გიორგიწმინდაში 741-ის, ხოლო ველისციხეში 1 932 აბონენტის ინდივიდუალურად გამრიცხველიანება განხორციელდა.

აღნიშნული სოფლების ელექტროგამანაწილებელი ქსელის მოწესრიგებისა და გამრიცხველიანებისათვის კომანიამ 237 300 ათასი ლარი დახარჯა.

ინდივიდუალური გამრიცხველიანება არ გულისხმობს აბონენტებისთვის მხოლოდ მრიცხველის მონტაჟს; ეს პროცესი მოიცავს ქსელის მასშტაბურ რეაბილიტაციას, რომლის ფარგლებშიც მთლიანად იცვლება ამორტიზირებული კაბელები ახალი იზოლირებული სადენებით, ძველი ხის ბოძები ახალი რკინაბეტონის ბოძებით, რემონტდება სატრანსფორმატორო პუნქტები და მნიშვნელოვნად უმჯობესდება ქსელის ინფრასტრუქტურა.

საქართველოს რეგიონებში არსებული ყველა აბონენტის ინდივიდუალური გამრიცხველიანება 2013 წლის ბოლოს დასრულდება

**ინტერპრესნიუსი**

## პამელა ანდერსონს თავს დაესხნენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სცენაზე იგი მაღალქუსლიანი ვარდისფერი ფეხსაცმელებით, შავი წინდებით, მკერდზე შემოტმასნილი წითელი მაისურით, სვაროვსკის კრისტალებით შემკული ნახევრად გამჭვირვალე წამოსასხამით გამოვიდა, მაგრამ ამან სამსახიობო ოსტატობა ვერ შემატა.

არ გამართლდა მისი თაყვანისმცემლების მოლოდინი. ისინი იმედოვნებდნენ, რომ პამელა ანდერსონი სცენაზე გზის გაკვლევას თავისი სილიკონის მკერდით შეძლებდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სპექტაკლის პროგრამაში გარკვევით ეწერა, რომ პამელა ანდერსონს საკუთარი თავი მსახიობად არ მიაჩნდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცოტა ხნის წინ პამელა ანდერსონმა გამოაცხადა, რომ მამაკაცთა ჟურნალებთან თანამშრომლობის გაგრძელებას აღარ აპირებდა. ჟურნალისტებთან საუბარში მან განმარტა, რომ ეს გადაწყვეტილება, უპირველესად ყოვლისა, თავისი ვაჟების გამო მიიღო. მოდელის თქმით, მის შვილებს მუდმივად დასცინიან იმის გამო, რომ პამელა ანდერსონმა სახელი გულახდილი ფოტოსესიებით გაითქვა.

## ტიმ ლეინი: „ქართველებთან იოლი თამაში არავის ექნება“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვედრა არც ერთ გუნდს არ ექნება, რადგანაც ქართველებმა თავიანთი სიძლიერე მსოფლიო თასზე ზედიზედ მესამე გასვლით დაამტკიცეს და საქართველოს სახელი საერთაშორისო არენაზე კიდევ ერთხელ გაჟღერდება, — ამბობს ლეინი, რომელიც ცოტა ხნის წინ შოტლანდიელმა რიჩი დიქსონმა შეცვალა.

შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურში, რომელშიც ერთმანეთს საქართველოსა და რუსეთის ნაკრებები შეხვდნენ, რომელშიც არა მხოლოდ „ერთა თასის“ გამარჯვებულის ბედი წყდებოდა, არამედ, ისიც უნდა გარკვეულიყო, თუ ვინ გახდებოდა ევროპის 1-2 გუნდი და 2011 წლის მსოფლიო თასზე რომელი ნაკრები რომელ ჯგუფში მოხვდებოდა. საქართველოს ნაკრებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, მეტოქე 36:8 გაანადგურა და ახალ ზელანდიაში „ბ“ ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები ინგლისის, არგენტინის, შოტლანდიისა და ფლეი ოფის გამარჯვებული რუმინეთის ნაკრები იქნება. რუსეთთან მატჩი თურქეთის ქალაქ ტრაბზონში გაიმართა და 6.000-მა ქართველმა გულშემატკივარმა, რომლებმაც სტადიონი სრულად შეავსეს, ერთის წილ ხუთი გატანილი ლელო იხილა.

— ჩვენი მიზანი იყო, რომ საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთხელ მოეპოვებინა მსოფლიო თასის საგზური და მოხარული ვარ, რომ ამ მიზნის შესრულება მოვახერხეთ. ახლა ჩვენი ამოცანაა, ფინალურ ეტაპზე თავი ღირსეულად წარმოვაჩინოთ. საქართველოსათვის მსოფლიო თასზე კიდევ ერთხელ გასვლა რაგბის პოპულარობის კიდევ უფრო გაზრდის წინაპირობაა. ამის წყალობით რაგბის თამაშს არაერთი ბავშვი დაიწყებს და ეს იქნება განვითარების დამატებითი იმპულსი, კიდევ ერთი შანსი, რათა წინსვლა გავაგრძელოთ. რაც შემეხება მე, მოხარული ვარ, რომ ამ პროცესის ნაწილს წარმოვადგენ და მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მთელი ეს პერიოდი გვერდში გვედგა, — განაცხადა საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ილია ზედგინიძემ.

მ. ჟ.

# სამგლოვიარო განცხადებები



ბაღდათის მაიაკოვსკის სახელობის სკოლის 1970/71 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ 56 წლის ასაკში ბელგრადში გარდაიცვალა

**ავთანდილ (ბურდღუ) ახობაძე**

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

დაკრძალვა: ბელგრადში.



მშობლები ქეთინო ბალათურია, აკაკი ნასყიდაშვილი, ბიძები ალექსანდრე და თემურ ნასყიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები, მეგობრები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სერგო ნასყიდაშვილი**

პანაშვიდი: 4, 5 იანვარს, 16 საათზე;
დაკრძალვა: ხუთშაბათს, 6 იანვარს, 14 საათზე;
მისამართი: მარშალ გელოვანის ქ.№4.



შვილები გია, ნუკრი, მარინა ლორთქიფანიძეები, რძლები მზია, ნუნუ, მაია, ეკა, სიძეები ავთო, გიორგი, ნიკა, რატი, შვილიშვილები ლიკა, ნია, მაკა, თაკო, ნინიკო, ზაზა, მარიამი, სალომე, თათია, ანი, აკაკი, დები ლეილა, ლიანა, სიძე მამია ებრალიძე, რძალი მანანა აროშიძე, დისშვილები მზია, მაია, ლელა, მამუკა, ზაზა, თეა, ძმისშვილები ირაკლი, ელენე აროშიძეები, მძახლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლამარა ვასილის ასული აროშიძე-ლორთქიფანიძე**

პანაშვიდი: 4, 5 იანვარს, 16 საათზე;
დაკრძალვა: 6 იანვარს, 14 საათზე;
მისამართი: ქავთარაძის ქუჩა №10, IV სადარბაზო.



**ოტია მდივნიშვილი**

ქართულმა აგრარულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა – მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი ოტია მდივნიშვილი.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ჭეშმარიტი ქართველი, გამორჩეული პიროვნება, მოქალაქე, მოღვაწე, უაღრესად კეთილი, უწყინარი, საოცრად მიმტევებელი ადამიანი, შესანიშნავი მეუღლე, მამა და საუკეთესო მეგობარი.

ოტია მდივნიშვილი დაიბადა 1936 წლის 20 თებერვალს ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავაში. 1957 წელს დაამთავრა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და 1967 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ბატონი ოტიას შრომითი ბიოგრაფია მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. სხვადასხვა წლებში იგი მუშაობადა აბროლაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ, იყო ამბროლაურის რაიონის ალკკ რაიკომის განყოფლების გამგე, მეორე მდივანი და პირველი მდივანი.

1966 წლიდან ბატონი ოტიას საქმიანი ცხოვრება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს დაუკავშირდა. 1969 წლიდან ოტია მდივნიშვილი ჯერ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ამჟამად აგარული უნივერსიტეტის თანამშრომელი იყო. უნივერსიტეტში მისი შრომითი ბიოგრაფია დაწყებული აგრომეტეორლოგიის ლაბორატის თანამდებობით, დასრულებული სამოქალაქო თავდაცვის და აგროეკოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობით ათეულობით წლებს მოცავს.

2004 წლიდან დღემდე ოტია მდივნიშვილი აგრონომიული ფაკულტეტის აგროეკოლოგიის დეპარტამენტის მეცნიერ კონსულტანტი იყო.

ოტია მდივნიშვილი მრავალმხრივ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, 10 სახელმძღვანელოს ავტორი და რამოდენიმე სახელმძღვანელოს თანაავტორია - აგროეკოლოგიის, აგრომეტეოროლოგიის, საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სფეროში.

წლების განმავლობაში მრავალი მაგისტრი და დოქტორანტი სწორედ ოტია მდივნიშვილის ხემლძღვანელობით იკვლევდა გზას მეცნიერებაში.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი კაცი, მეცნიერ-პედაგოგი, მოქალაქე, მაგრამ დატოვა დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც მომავალშიც არ დაკარგავს მნიშვნელობას.

ბატონი ოტია მდივნიშვილის ხსოვნა მარად იცოცხლებს მისი კოლეგებისა და აღზრდილების მეხსიერებაში.

*საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაცია, აგრონომიული ფაკულტეტის დეკანი, აგროეკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, აგროეკოლოგიის განყოფილება*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**



## TV პროგრამა

**სამშაბათი 4 იანვარი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **08.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი", "ადამიანი ობობა" **09.00** საბ. ფილმი "**ჯაშუში პარიეტი**" **10.50** ან. ფ. "ჭიანჭველა ზი" **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** მხ. ფილმი "**გაიცანით კლაუსების ოჯახი**" **14.00** საბ. სერ. "**პინოქიო**" **15.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **17.00** მხ. ფილმი "**ტუტსი**" **19.05** მონტე-კარლოს ცირკის 33-ე საერთ. ფესტივალი **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **22.00** კონცერტი: დაიანა რივზი **23.45** მხ. ფილმი "**ორკვირიანი შეტყობინება**" (ს. ბალოკი) (სუბტ.) **01.35** მოამბე **01.55** მხ.ფ."**სალაპარაკო თემა**" (12) (ჯ. რობერტსი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00, 19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი "**მოახლე მანჰეტენიდან**" **01.00** მხ. ფ. "**ბინის ქირა**" (12)

**08.00** ანიმაცია "ჯუნგლების წიგნი 2" **10.00** ანიმაცია "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.15** მხ. ფილმი "**უკან მომავალში 2**" **14.30** "გუნცაძეები" მე-2 ს. **15.15** მხ. ფილმი "**პატარძლის მამა 2**" **17.30** დოკ. ფილმი "ჯემის ოჯახის შობა" **18.30** სერ."**სისხლის საიდუმლო**" **18.50** სერ. "**დანიელა**" **19.50** სერ."**სად არის ელისა**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ქართ. მხ. ფილმი "**რაც ყველაზე ძალიან გიყვარს**" **00.00** მხ. ფილმი "**მოასწრო 60 წამში**" **02.00** მხ. ფ. "**ანგელოზი "ა"** **04.00** მხ. ფილმი "**პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან 2**"

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "არგაი" **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **12.00** სერ. "**თოვლის დედოფალი**" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** მხ. ფილმი **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **21.00** კონცერტი: ქართული ხმები **22.00** სერ. "**სი ეს აი**" **23.00** გადაცემა "მეექვსე გრნობა" **00.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **02.00** მხ. ფილმი

**08.00** მხ. ფილმი "**კარიბის ზღვის მეკობრეები 2**" **10.00** სერ. "**სილამაზის მსხვერპლი**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. "**მეორე სიცოცხლე**" **13.00** სერ."**ლოზას საიდუმლო**" **14.40** წუთისოფელში **15.00** ინტუიცია **16.00** სერ. "**ლუნას მემკვიდრეობა**" **17.40** სერ. "**მოჯადოებული**" **18.45** სერ."**ლოზას საიდუმლო**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** ან. ფილმი "სამსონაძეები" **00.00** ფილმი "**ტრანსპორტერი**" (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) **01.55** მხ. ფილმი "**პელიკანების საქმე**" (12) (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) **04.10** მხ. ფილმი "**სიკვდილის შემდეგ**" (12) (ჟ. ვან დამი) (სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. "**დაუნებების დედოფალი**" **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. "**იდუმალი სტუმარი**" **13.00** ქართ. ფილმი "**კეთილი ადამიანები**" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**მოჯადოება**" **19.00** ქართ. ფილმი "**საბუდარელი ჭაბუკი**" **23.00** სერ. "**სალომეა**" **00.00** კონცერტი

**ერთსულოვნება** **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** მულტფილმი **11.50. 17.50, 21.55** საქართველოს სამართლის ისტორია **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ.ფ."**შეხვედრა მთაში**" **13.30** კონცერტი **15.10** მხ. ფილმი "**მაგდანას ლურჯა**" **16.20** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.45** მულტფილმი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **19.20** ფილმი-ოპერა "**დაისი**" **20.40** ძილი ნებისა **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.20** დოკ. ფილმი "მწუხრიდან განთიადამდე" **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.40** დოკ. ფილმი "პატრიარქი ლოცავს საქართველოს"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის 4 იანვარს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,781
ევრო — 2,4644
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0583

**ამინდის პროგნოზი 4 იანვრისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 19-13, ღამით — 2-5
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 15-18, ღამით — 8-11
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -1-8, ღამით — -13-2





ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

უებარი წამალია



„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.


## პამელა ანდერსონს თავს დაესხნენ

ცნობილი მოდელი და მსახიობი, ჟურნალ „ფლეიბოის" ვარსკვლავი, პამელა ანდერსონი, ინგლისის ქალაქ ლივერპულის ვაგზალში თავდამსხმელთა სამიზნე გახდა.

ლივერპულში სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ლონდონისაკენ მიმავალი მატარებლის ვაგონში შემავალ პამელა ანდერსონს ვიღაც ახალგაზრდა კისერში სწვდა. საქმეში მაშინვე პოლი-



ცია ჩაერია და თავდამსხმელი დააკავეს.

გავრცელებული ცნობების თანახმად, პამელა ანდერსონი არ დაზარალებულა, თუმცა, საკმაოდ ინერვიულა.

ბრიტანული გაზეთის „დეილი მეილის" ინფორმაციით კი ახალგაზრდა პამელას არ დასხმია თავს, იგი, უბრალოდ, მატარებლის ვაგონში ცდილობდა შესვლას, რათა პამელას გვერდით ადგილი დაეკავებინა.

დაკავებისას ანდერსონის 21 წლის თაყვანისმცემელმა პოლიციელებს კბენა დაუპირა და მის დასაშოშმინებლად სპეციალური გაზი გამოიყენეს.

როგორც ბრიტანული გაზეთი აცხადებს, ეს ახალგაზრდა რამდენიმე თვეა ცდილობს პამელა ანდერსონთან დაკავშირებას. მის გამო ანდერსონს დაცვის გაძლიერება მოუხდა. მან პამელა ანდერსონის სპექტაკლის ათ წარმოდგენაზე შეიძინა ბილეთი და ყოველი წარმოდგენის დასრულების შემდეგ სამსახურებრივ გასასვლელთან უდარაჯებდა მსახიობს.

პამელა ანდერსონი სპექტაკლ „ალადინში" ჯინის როლს ასრულებდა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ტიმ ლეინი: „ქართველებთან იოლი თამაში არავის ექნება"



რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) ვებგვერდზე 2010 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები გამოქვეყნდა და ვრცელი სტატია იმ რვა გუნდს დაეთმო, რომლებმაც 2011 წლის მსოფლიო თასის საგზური შესარჩევ ეტაპებზე წარმატებული თამაშით მოიპოვეს. მათ შორის საქართველოს ნაკრებიც არის.

— ევროპიდან მსოფლიო თასის საგზური საქართველოს ნაკრებმა ნაადრევად მოიპოვა. შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ქართველებმა თბილისში, ეროვნულ სტადიონზე ესპანეთი 17:9 დაამარცხეს და ცხადი გახდა, რომ პირველი ორი ადგილიდან ერთ-ერთს აუცილებლად ისინი დაიკავებდნენ. ეს იყო „ბორჯღალოსნების" მეშვიდე გამარჯვება განვლილ რვა შეხვედრაში (ერთი მატჩი პორტუგალიასთან ფრედ დასრულდა) და მსოფლიო თასზე ზედიზედ მესამედ მოხვდნენ, — აღნიშნულია წერილში.

ვებგვერდზე საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ავსტრალიელი ტიმ ლეინის სიტყვებიც არის:

— მართალია, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი აღარ ვარ, მაგრამ ძალიან კარგად მესმის მათი სიხარული. დარწმუნებული ვარ, მათთან იოლი შეხ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## დღეს პატრიარქის დაბადების დღეა

ეკა ირემაშვილი



4 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს 78 წელი უსრულდება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა მილოცვებს საპატრიარქოში დილის 11 საათიდან პირველ საათამდე მიიღებს, საღამოს კი კონსერვატორიის დიდ დარბაზში მიბრძანდება, სადაც მისი დაბადების დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ერისკაცობაში ირაკლი შიოლაშვილი, 1933 წლის 4 იანვარს ვლადიკავკაზში, გიორგი ღუდუშაური-შიოლაშვილისა და ნატალია კობაიძის ღვთისმოსავ ოჯახში დაიბადა. კათოლიკოს-პატრიარქის მშობლები საქართველოდან, ყაზბეგის რაიონიდან იყვნენ — მამა გიორგი შიოლაშვილი სოფელ სნოდან, დედა — ნატალია კობაიძე კი სოფელ სიონიდან. მათ სახლი შეიძინეს ქალაქ ვლადიკავკაზშიც, სადაც შემდეგ დაიბადა საქართველოს მომავალი პატრიარქი. მშობლებმა სამი დღის ახალშობილი ქრისტეშობის დღეს მონათლეს ქართულ ტაძარში და ყრმას ერეკლე II-ის პატივსაცემად ირაკლი უწოდეს. მისი ნათლიები იყვნენ არქიმანდრიტი ტარასი (კანდელაკი) და მონაზონი ზოილე (დვალიშვილი). ამ უკანასკნელს პატარა ირაკლი სამთავროს მონასტერში ხშირად დაჰყავდა, სადაც მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძისგან სამი წლის ირაკლის ლოცვა-კურთხევა მიუღია.

ირაკლი შიოლაშვილმა დაამთავრა

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 4 იანვრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

არ გადაიტვირთოთ

**ვერძი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **კურო** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ. **ლომი** — პოზიტიური დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **ქალწული** — საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **სასწორი** — წარმატებული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **ღრიანკალი** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, თქვენთვის მშვიდად იყავით. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **თხის რქა** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, სხვებს ნუ დაუჯერებთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, საქმეს ადვილად გაართმევთ თავს. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 2. მონასელიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 3. მაღალი ხარისხის ქვანახშირი; 4. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 5. ურთიერთდათმობით მიღწეული შეთანხმება; 10. სწორკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი; 11. მოწინააღმდეგე კამათში; 12. გონებაჩლუნგობის, ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 13. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა; 16. კომპიუტერული საერთაშორისო საინფორმაციო ქსელი; 17. შენობის მხატვრული ორნამენტი; 19. მკურნალობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 21. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 23. მანძილის საზომი ერთეული ინგლისურ მეტრულ სისტემაში.

**თარაზულად:** 6. ძვირფასი თვლებით ვაჭრობისა და დამუშავების ცენტრი ბელგიაში; 7. სამხედრო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 8. შიშით გამოწვეული მღელვარება; 9. ტბა დუშეთის რაიონში; 14. უზბეკეთის დედაქალაქი; 15. პოპულარული გერმანული ლუდი; 18. კლოუნის ნომერი, გამოსვლა ცირკში; 20. ლექსის, სიმღერის სტროფი; 22. უნგრელი პარტიზანი; 24. წყნარი ოკეანისპირა პლაჟი ლოს-ანჯელესში; 25. ჰიპოპოტამი ანუ...; 26. დიდი წვეულება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## იუმორი



* * *

— აი, დიდხანს ვარჩიეთ და ბოლოს, დაბადების დღისთვის ბეისბოლის კეტს გჩუქნით.

— მართალი გითხრათ, კეტი არ მინდოდა და საერთოდ, ჩემთვის საჩუქარი ჯერ არ შემირჩევია.

— მომისმინე, რას გეუბნებით, აიღე კეტი, გადი ქუჩაში და ნებისმიერი საჩუქარი აირჩიე...

* * *

— თქვენ რა, ჩემი ნერვების საწიწკნად მოხვედით? რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ აქ სამშენებლო მასალების მაღაზიაა და მაწონი არ გვაქვს.

— კარგი, დამშვიდდით, არც რძე?

* * *

ძალიან მომეწონა ერთი მთავარი ბუღალტრის ფრაზა:

— რა მნიშვნელობა აქვს, ნახევარი მილიონისთვის ჩაჯდები თუ ხუთასი ათასისთვის?

* * *

— პარადოქსი — ამდენი საუკუნის შემდეგ ადამიანს ერთი თითი კვლავინდებურად უსახელო აქვს...

* * *

საახალწლო წვეულება. ერთი ქალბატონი მეორეს ეუბნება:

— მე მგონი, მე და თქვენ ასე 12 წლის წინ ახალ წელს ერთად შევხვდით.

— მართლა? აღარ მახსოვს.

— სახეებს მეც ცუდად ვიმახსოვრებ, მაგრამ კაბებს — კარგად.

* * *

— თქვენ რა, იდიოტი გგონივართ?

— არა, მაგრამ, ხომ შეიძლება, ვცდებოდე...

## ტესტი

## როგორი ადამიანი ხართ?



***1. მოგწონთ პარტნიორი, რომელსაც:***

ა. ესმის, რომ თქვენ საიმედო ადამიანი ხართ. ბ. მოსწონს, რომ თქვენი მოქმედების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. გ. მოსწონს, რომ ყველაფრის შესახებ საკუთარი აზრი გაგაჩნიათ. დ. რომელსაც მოსწონს თქვენი ჭკუა.

***2. გაღიზიანებთ, თუ თქვენი პარტნიორი:***

ა. იგვიანებს. ბ. გიზღუდავთ არჩევნის თავისუფლებას. გ. ხშირად გაკრიტიკებთ. დ. ეჭვი ეპარება თქვენი გადაწყვეტილებების მართებულობაში.

***3. თქვენს პარტნიორს არ მოსწონს, თუ თქვენ:***

ა. ცუდ ხასიათზე ხართ. ბ. სიტყვის პატრონი არ ხართ. გ. ცდილობთ მისი აზრის გაგებას. დ. კამათის დროს ხმას უწევთ.

***4. მოგწონთ, როდესაც მეგობრები:***

ა. თქვენი წარმატებებით აღტაცებას გამოხატავენ. ბ. უსიტყვოდ გიგებენ. გ. გაბედულ ადამიანად მიგიჩნევენ. დ. გულწრფელად გაფასებენ.

***5. გაღიზიანებთ, როდესაც მეგობრები:***

ა. ალოგიკურად იქცევიან. ბ. რაიმე არ მოსწონთ. გ. მუდმივად „გაშაყირებენ". დ. წვრილმანებში გატყუებენ.

***6. მეგობრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რადგან თქვენ ხართ:***

ა. ზედმეტად მოუთმენელი. ბ. ზედმეტად კომუნიკაბელური. გ. არასაიმედო პარტნიორი. გ. ყველაფერზე ნერვიულობთ.

**პასუხები**

*პასუხები შეაფასეთ: ა. — 1 ქულა. ბ. — 2 ქულა, გ. — 3 ქულა. დ. — 4 ქულა.*

**6-10 ქულა:** თქვენ საიმედო, საღად მოაზროვნე ადამიანი ხართ, ზარმაცი არ ხართ და მიგაჩნიათ, რომ ადამიანი მუყაითი უნდა იყოს. ხართ კარგი ორგანიზატორი.

**11-14 ქულა:** ხართ აქტიური, იმპულსური, გიყვართ მხიარულება. გყოფნით უნარი, სწრაფად და უმტკივნეულოდ გადაწყვიტოთ პრობლემები. მიგაჩნიათ, რომ სიტუაციის მიხედვით უნდა იმოქმედოთ და არა ტრადიციულად.

**14-18 ქულა:** შემოქმედებითი, კომუნიკაბელური ადამიანი ხართ, მიგაჩნიათ, რომ ადამიანი თვითგამოხატვისაკენ უნდა ისწრაფვოდეს. პრიორიტეტს წარმოადგენს ჰარმონია გარემოსთან და საკუთარ თავთან.

**19-24 ქულა:** ობიექტური, ლოგიკურად მოაზროვნე ხართ, გსიამოვნებთ, როდესაც თქვენში კომპეტენტურ ადამიანს ხედავენ.